№ 73

ხუთშაბათი, 12 მაისი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

№ 73

ხუთშაბათი, 12 მაისი

განცხადების ფასი: [illegible] სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აჯეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ქირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ს. ა. თარხანოვი—1—$1\frac{1}{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1\frac{1}{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მკურნალთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

ჩხრეკა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

რედაქციისაგან

ამ ნომრისათვის დამზადებული მეთაური და ზოგიერთი წერილი ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ იბეჭდება

ადვილი საშუალება

იემენი აუჯანყდა ოსმალეთს და ოსმალეთმაც დღემდის კიდევ ვერ მოახერხა აჯანყების მოსპობა...

მაგრამ საქმე დღეს სრულად არ უნდა იყოს ხელიდან წასული...

როგორც ეტყობა იემენის გამგე „საეჭვო“, „მავნებელ“ მიმართულებას აჰყოლია,—ვინაიდან ხალხში დაურიგებია განცხადება და ყველას ჰპირდება თავისუფლებას, სამართლიანობას, გადასახადის შემცირებასაც.

წარმოიდგინეთ, როგორი გავლენა იქონია ამ განცხადებამ იქაურ ხალხზე!

გარეშე პოლიტიკა რა ჩემი საქმეა, მაგრამ გაზეთებში დაბეჭდილმა დეპეშამ ამ განცხადების შესახებ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინვე.

ბედნიერ არაბეთში თავისუფლების სურვილი შესულა და დროზე უნდა მიიღოს იქაურმა მთავრობამ შესაფერი ზომები, თორემ ხალხი სულ აირევა... ხელს აიღებს ვაჭრობაზე, ხაზინაში გადასახადს აღარ შეიტანს, მოითხოვს თავისუფლებას!...

საშინელებაა!

ამბობენ იმამის გამგეს 100.000 თოფზე მეტი უნდა ჰქონდეს და რამოდენიმე ზარბაზანიც. ამიტომ ამ აჯანყების მოსასპობად ოსმალეთის ხონთქარს დიდი ჯარი დასჭირდება და ეს ჯარი, როგორც ამბობენ გამოცდილი პირები, არ უნდა ჰყავდეს.

იემენის დასამშვიდებლად აჯანყების მიზეზის გამორკვევაა საჭირო.

როგორც ეტყობა იემენის გუბერნატორს კარგად ვერ უდევნებია თვალ-ყური ხალხისთვის და ამიტომ ვერ შეუმჩნევია დროზე, თუ როგორ თანდათან აღელდა ხალხი.

ამას გარდა, დანამდვილებით ვიცი, რომ იემენში მთავრობის მომხრე გაზეთები „გრაჟდანინის“ და „მოსკოვსკია ვედომოსტის“ დაგვარია და ასეთი გაზეთები ხომ აუცილებლად საჭიროა ხალხის დასამშვიდებლად!

მაგრამ ფაქტი მაინც უცვლელი რჩება... აჯანყება არსებობს... უნდა ეშველოს როგორმე საქმეს... რა სასიამოვნოა ოსმალეთის მთავრობისათვის გაზეთებში დაბეჭდილ დეპეშების წაკითხვა—იემენში აჯანყებულთა მეთაური ხალხს ჰპირდებაო გადასახადის შემცირებას, სამართლიანობას, თავისუფლებას!..

სირცხვილი! არა, საქმეს უნდა ეშველოს რამე!

შველაც ადვილი არის!

უნდა გაიგზავნოს ოსმალეთში ორიოდე გრინგმუტი, ერთი თავადი მეშჩერსკი, რამდენიმე „გრაჟდანინის“ მომხრე გუბერნატორი...

გრინგმუტი და თავადი მეშჩერსკი თან წაიღებენ «მოსკოვსკია ვედომოსტის» და „გრაჟდანინის'' დარჩენილ ნომრებს და ,,გრაჟდანიიის მომხე გუბერნატორები ხალხში გაავრცელებენ პროკლამაციებს და დაუმტკიცებენ, რომ ოსმალეთის არსებული მთავრობა თავისუფლებაზე უკეთესია, სამართლიანობასაც სჯობია, ყველასათვის სანეტაროა...

გრინგმუტ-მეშჩერსკის და ამ გუბერნატორების სიტყვა ისეთ ძლიერ გავლენას იქონიებს აჯანყებულებზე და მათ მეთაურზედაც, რომ უარს იტყვიან აჯანყებაზე, ხელს აიღებენ თავისუფლება-სამართლიანობის მოპოვებაზე და ხონთქარს მორჩილებას გამოუცხადებენ...

იმისათვის, რომ გრინგმუტ-მეშჩერსკის შესვლამ იემენში მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს, კარგი იქმნებოდა, რომ მათთვის გაგვეყოლებინა ამალად ,,შავი რაზმი'', რომელიც ყოველგვარ აჯანყების მოსპობაში გამოცდილია და რომელსაც გრინგმუტ-მეშჩერსკივით ეჯავრება ,,სამართლიანობა'', ,,თავისუფლება''.

გრინგმუტ-მეშჩერსკი და ,,შავი რაზმი''... საუცხოვოა!

ამათი გაგზავნით რომ დაეხმაროს რუსეთი ოსმალეთის მთავრობას, ვერავინ ვერ იტყვის, რუსეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვიაო, ვერ იტყვის იმიტომ, რომ ომიანობის დროს ხუნხუზების მოქმედებაც ბრძოლის ველზე ნეიტრალიტეტის დარღვევად არ ჩაუთვლია არავის.

აქ „შავი რაზმი“ ხუნხუზებს რომ დავადარე, იმის თქმა როდი მინდა, ვითომც ისინი ერთმანეთში სწორი იყვნენ; არა, ყველამ იცის, თუ ვინ არის მათში უფრო საქები—„შავი რაზმი“ თუ ხუნხუზები?..

ერთია, რომ „გრინგმუტ-მეშჩერსკის“ და „შავ რაზმსაც“ გზის ფული საჭიროა ბლომად: სხვისი ფულიც უყვართ, ქეიფსაც არ ერიდებიან...

მაგრამ ჩვენი წინადადება: სახელოვანი გრინგმუტ-მეშჩერსკი და მათი სახელოვანი „შავი რაზმი“ ზედმეტ სახელის მოსახვეჭად შორეულ იემენში გავამგზავროთო,—ბევრს მოეწონება უთუოდ და სრული დარწმუნებული ვართ, რომ არავინ, არც ერთი პატიოსანი ადამიანი არ დაიშურებს არაფერს ამის შესასრულებლად.

წარმოიდგინეთ: იემენში უნდა წავიდნენ გრინგმუტ-მეშჩერსკები, მათი მომხრე გუბერნატორები და მათთან ერთად სახელოვანი „შავი რაზმი“, ვინ იქმნება რომ არ შეუწყოს ხელი ამნაირ მოგზაურობას!!.

სრული დარწმუნებული ვართ, მათი გაგზავნა რომ შეიტყოს იემენის აჯანყებულმა ხალხმა—შეშინდება უთუოდ და ოსმალეთის მთავრობას შეევედრება:

— „მორჩილებას გამოგიცხადებთ, ხელს ავიღებთ აჯანყებაზე, ოღონდ ეს გრინგმუტ-მეშჩერსკები ჩამოგვაშორე, ოღონდ ნუ დაგვანახვებ თვალითაც «შავ რაზმს», გრინგმუტის ერთგულს!.. არ გვინდა ეგენი! მათი დანახვაც ჩვენთვის საზარელია!“

და ამნაირად დამყარდება მშვიდობიანობა იემენში, სადაც აჯანყებული ხალხი მოითხოვდა გადასახადის შემცირებას, სამართლიანობას, თავისუფლებას..;

(ს, ო.)

ე. განეიზერი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

10 მაისი.

პეკინი, 10 მაისი. ამერიკის ელჩმა სიტყვით მიმართა ჩინელ ვაჭრებს და აუხსნა, რომ ამერიკული ახალი კანონი შეზღუდავს ჩინელ მუშების რაოდენობას, მაგრამ ორთავე მხარის სავაჭრო დამოკიდებულებას ის არ ეხება და განსახილველად კონგრესს წარუდგება მხოლოდ ნახევარ წლის შემდეგ. ამასთან ელჩმა სთხოვა ჩინელ ვაჭრებს, სახელმწიფოთა შორის კეთილ-განწყობილებას ნუ ჩაშლითო. ამ სიტყვამ ცუდი შთაბეჭდილება იქონია. იმავე დღეს ჩინელებმა კრება გამართეს და გადასწყვიტეს, ამერიკის ნაწარმოებს ბოიკოტი გამოუცხადონ.

ლოძი, 10 მაისი. გაიფიცნენ 8 ქარხანაში, მათ შორის გეინცელისა და კუნიცერისაში. სულ 5,320 მუშა არის გაფიცული.

ბორისოვი, 10 მაისი. სმოლევიჩის ვოლოსტში გლეხთა არეულობას მოელიან. სმოლევიჩის ეკონომიამ ჯარი მოითხოვა. ნოქართა გაფიცვა დაიწყო.

ლიპეცკი, 10 მაისი. საექიმო სეზონი დაიწყო.

პენზა, 10 მაისი. წუხელის ქალაქის განაპირა სოფელში ბეზსონოვკაში ცეცხლმა გაანადგურა 91 სახლი. ორი ბავშვიც დაიწვა.

ვენა, 10 მაისი. სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ბერლინის ხელშეკრულობას და დაადგინეს, ათინაში წარუდგინონ კოლექტიური ნოტა და ბეჯითად გააფრთხილონ საბერძნეთი—ხელს ნუ უწყობს სამხრეთ მაკედონიის მოძრაობასო.

ლონდონი, 10 მაისი. სასამართლომ პასუხისგებაში მისცა ჟურნალისტი ბრელსფორდი და მსახიობი მაკ-კულლოკი, რომელთაც ჰბრალდებათ ყალბ პასპორტების მოპოვება რუსებისათვის. სასამართლოს ოქმში ნათქვამია, რომ აღნიშნულ პირთ შეთქმულობა მოუხდენიათ, სხვა პირთათვის ყალბ პასპორტების საშოვნელად, რაც განსაცდელში აგდებს ინგლისისა და რუსეთის მშვიდობიანს განწყობილებასაო.

ტაგანროგი, 10 მაისი. გუშინ შეთანხმდნენ ექსპორტერები და მუშები. ხელფასი მოუმატეს. შესდგა მტვირთავთა არტელი. მუშაობას დღეს შეუდგებიან.

სიმბირსკი, 10 მაისი. გადაიწვა საკურთხევლის მეოთხედი.

კოვნა, 10 მაისი. გუშინ მოვიდა 16 დაჭრილი. წითელი ჯვრის საავადმყოფოები სავსეა. აწყობენ კიდევ 15 სნეულისათვის ახალ საავადმყოფოს.

პეტერბურგი, 10 მაისი. დღეს სტატს-სეკრეტარი ერმოლოვი გამოეთხოვა მიწად-მოქმედების სამინისტროს მოხელეთ.

ლონდონი, 10 მაისი. ბრელსფორდსა და მაკ-კულლოკს ბრალად ედებათ, რომ მოტყუებით უნდოდათ მიეღოთ პასპორტი, ვითომ რუსეთში წასასვლელად, რითაც შეიძლებოდა რუსეთსა და ინგლისს შორის კეთილ-განწყობილება დარღვეულიყო. ბრალმდებლის სიტყვით, ბრელსფორდს უნდოდა შეძლება მიეცა ზოგიერთ პირებისთვის, რუსეთში წასულიყვნენ და აკრძალული წიგნები გაევრცელებინათ და მაკ-კულლოკს განცხადებაზე ხელი მოაწერინა. ბრალდებულთ განზრახ შეჰყავდათ შეცდომაში ბრიტანიის სამინისტრო და რუსეთის მთავრობა. პასპორტი რუსის კონსულთან წარდგენილია 1 ღვინობისთვეს. საქმის გარჩევა ორი კვირით გადიდო.

ხარკოვი, 10 მაისი. ლოზოვის მახლობლად ლიანდაგს გადასცდა საქონლის მატარებელი. დაიმსხვრა 25 ვაგონი. მოკლული და დაჭრილი ბევრია.

რიბინსკი, 10 მაისი. გაიფიცნენ ნავთსადგურის მტვირთველ-გადამტვირთველნი. კარავანში მუშაობა შესწყდა.

ელიზავეტგრადი, 10 მაისი. გაიფიცნენ ყველა ქარხნები.

მიტავა. ცხრა შეიარაღებულმა კაცმა სროლა დაუწყო ერთს პოლიციელს. პოლიციელი უვნებლად გადარჩა.

მინსკი, 10 მაისი. მოსკოვ-ბრესტის რკინის გზის სახელოსნოები და დეპო დაიკეტა. მოსამსახურეებს შესთავაზეს, ანგარიში მიიღეთო. გუშინ საღამოს 600 გაფიცული მუშა ტყეში შეიყარა და კაზაკებისა და პოლიციის მოსვლისთანავე დაიშალა.

კიევი, 10 მაისი. ოფიციალური. საზღვარ-გარეთის გაზეთებში ჟიტომირის ამბების გამო იწერებოდნენ, ვითომც პოლიციის დეპარტამენტს კიევის გენერალ-გუბერნატორისათვის ებრძანებინოს სასტიკ ზომების მიღება არეულობის მოსასპობადო; ვითომც ამ განკარგულების გამო გენერალ-გუბერნატორს უბრძანებინოს კიევიდან ურიების გადასახლება, ვითომდა ურიების ქრისტიანთა ძალმომრეობისგან გადასარჩენად. ჩვენ დავალებული ვართ გამოვაცხადოთ, რომ უცხო გაზეთების ყველა ეს ცნობა, რუსულ გაზეთებშიაც გადმოღებული, ყოველსავე სიმართლეს მოკლებულია და გაუგებრობით არის გამოწვეული. პოლიციის დეპარტამენტისაგან გენერალ-გუბერნატორის სახელზე არავითარი განკარგულება არ იყო საჭირო, ვინაიდან ჟიტომირში არეულობის მოსასპობად თვით ადმინისტრაციამ, განკარგულების მიუღებლადაც, მიიღო საჭირო ზომები და კიევიდან ურიების გადასახლება არავის არ უბრძანებია. მხოლოდ ზოგიერთი ოჯახი, რომელთაც წინადვე დროებით ჰქონდათ კიევში ცხოვრების ნება-რთვა მიცემული და რომელთაც აქ ცხოვრების ვადა გაუდიოდათ, ეხლა კიევიდან მთავრობის განკარგულებით გადასახლებულ იქმნა. კიევში იმ თავითვე ურიების შესახებ რამდენიმე სპეციალური კანონი მოქმედებდა, რომელსაც ჟიტომირში მომხდარ სამწუხარო მოვლენასთან არავითარი კავშირი არა აქვს. გენერალ-გუბერნატორს მინიჭებული აქვს უფლება თანდათან შეამსუბუქოს ურიათა მდგომარეობა კიევში და ზოგიერთ ურიას კიევში ცხოვრების ნება-რთვა მისცეს. ისიც დაუჯერებელია, რომ მთავრობა ურიების გადასარჩენად ამოჟლეტისაგან მათ სხვაგან, უცნობ ადგილებში უპირებდეს გადასახლებას. ამ ბოლო ხანებში გენერალ-გუბერნატორმა ზოგიერთი ახალი უფლება მიანიჭა ურიებს სწავლა-განათლების საქმეში, სავაჭრო ადგილებში ცხოვრების საქმეში, რაიც ამტკიცებს, რომ უცხო გაზეთების ზემოხსენებული ცნობა განზრახ გამოგონილი ტყუილია, რომელსაც სრულებით არა აქვს მიზნად ურიათა მდგომარეობის გაუმჯობესება, მით უფრო, რომ კანონი მფარველობას უწევს ურიების პიროვნებისა და ქონების უზრუნველყოფას და ამაში ისინი სრულიად გათანასწორებულნი არიან რუსებთან.

სტამბოლი, 10 მაისი. ოსმალეთ-რუმინიის განხეთქილების მოსასპობად, იანინის ვალი რუმინიის ელჩს თავის შენანებას გამოუცხადებს. ვლახების თემებს უფლება მიენიჭებათ, სათემო კომიტეტებში გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები, ვლახების სკოლების მდგომარეობას შეამსუბუქებენ.

ლონდონი, 10 მაისი. ვაჭრობის მინისტრმა გამოაცხადა კუკის ანგარიში, რომელიც გვაცნობებს ციმბირის ბაზარს, სადაც ბრიტანელთა ნაწარმოები საღდება. კუკი ამბობს, წინად რომ გაგვეცნო ციმბირის მხრის ყოფა-მდგომარეობა, ახლა მიზანი მიხწეული გვექნებოდაო. ამერიკელებმა, დანიელებმა და გერმანელებმა ხელთ იგდეს წარმოების უფრო ხელმოსაცემი დარგნი, მაგრამ მაინც ციმბირის ბაზრის ყურადღებოდ დატოვება არ ვარგა. ეს მდიდარი მხარე, ბრიტანიის ახალშენების მსგავსად, რომლებიც ინგლისს ამდიდრებენ, რუსებს მილიონებს შესძენსო.

ბელგრადი, 10 მაისი. გუშინ, სკუპშჩინის თავმჯდომარის ამორჩევის შემდეგ, სამინისტრო გადადგა. მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტმა პაშიჩმა სკუპშჩინას წერილით აცნობა ეს. სხდომა დაიხურა კრიზისის დასრულებამდის. კოროლი პარტიათა მეთაურებს ეთათბირება. მთავრობამ მოითხოვა პალატის გადაყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაბეჯითებით თხოულობს სამსახურიდან გადადგომას.

სოფია. ოფიციალური გაზეთი „ნოვ ვეკ“ თხოულობს მაკედონიისათვის საერთაშორისო კომისიას, რომელიც განსაკუთრებით კონტროლობას გაუწევს როგორც ფინანსებს, ისე ადმინისტრატიულსა და იურიდიულ მხარეს მაკედონიის ვილაიეტებში.

ვაშინგტონი, 9 მაისი. კალიფორნიის მკვიდრნი იაპონელთა გადმოსახლებაზე პროტესტს აცხადებენ და თხოულობენ იაპონელთა გაძევებას.

11 მაისი.

ლონდონი, 10 მაისი. სასამართლოში საქმის გარჩევის დროს სერმა კარსონმა, უფროსმა ბრალმდებელმა დაამოწმა, რომ პასპორტი მიცემულია გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ მაკ-კულლოკის სახელობაზე. პასპორტზე ხელმოწერილი გვარი მაკ-კულლოკისა არ ემსგავსება მისს ხელს. სწორედ ეს პასპორტი აღმოაჩნდა „ბრისტოლის“ სასტუმროში აფეთქების მსხვერპლს პეტერბურგში. ბრელსფორდმა წერილობითი განცხადება გაუგზავნა პოლიციას, რომ ეს პასპორტი გამოიტანა მან რევოლიუციონერ პარტიის ერთის წევრისათვის, მხოლოდ იმ პირობით, რომ მას მშვიდობიანი პროპაგანდა უნდა გაეწიაო.

პარიჟი, 9 მაისი. ნაჩევიჩის ბულგარიაში მოგზაურობას მთავარ ფერდინანდის ნახვა და ოსმალეთ-ბულგარიის ახალი შეთანხმება ჰქონია საგნად.

ლონდონი, 10 მაისი. მაკ-კულლოკისა და ბრელსფორდის საქმის გარჩევა ორის კვირით გადაიდო.

პეტერბურგი, 10 მაისი. დილის 9 საათზე გარდაიცვალა დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის ასული ნატალია.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

7 მაისი

პარიჟი, 10 მაისი. ლუბეს თავმჯდომარეობით მომხდარ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე დელკასემ განაცხადა: მომავალ მანევრებზე დასასწრებლად რუზველტი ჰგზავნის საგანგებო სამხედრო მისსიასაო. ამჟამად საიგონში სდგას 16 ბარგის საზიდი გემი.

პრინცი არისუგავა ომის დასრულებამდე ევროპაში დარჩება და ზავის ჩამოგდების დროს დიდ მონაწილეობას მიიღებს საქმეებში. მან მიართვა მეფე ედუარდს მიკადოს წერილი.

ვაშინგტონი, 9 მაისი. ამერიკის მთავრობამ დაადგინა,—როჟესტვენსკის ნება მისცეს, ლუცონის მახლობლად იმდენის ქვა-ნახშირით დატვირთოს გემები, რომ მხოლოდ ვლადივოსტოკამდე ეყოსო.

ტოკიო, 10 მაისი. (ლონდონიდან). ცნობები მოვიდა, რომ ესკადრა მშვიდ ოკეანის გაშლილ წყლებში გავიდა.

ტოკიო, 10 მაისი. ოფიციალურის ცნობით, რუსეთის ცხენოსანი ჯარი, რომელიც გარს უვლიდა ფაკუმინს ლიაოხეს მარჯვენა ნაპირისაკენ, უკუქცეულ იქმნა იაპონელ ჯარისგან. 7 მაისს, ტანჩენძთან ბრძოლის შემდეგ, რუსები დაბანაკდნენ სოიტაძში, ფაკუმინიდან 26 მილის მანძილზე, მაგრამ 3 მაისს მალიენხოს მარჯვენა ნაპირას გადავიდნენ. რამოდენიმე როტამ, მალიენხოს მარცხენა ნაპირას დარჩენილმა, დაიხია ჩრდილოეთისკენ.

(ღამის დეპეშები იხილეთ მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბალტიის მეოთხე ესკადრა შორეულ აღმოსავლეთში წასასვლელად გაფაციცებით ემზადება. ამ ესკადრას შეადგენენ უზარმაზარი ჯავშნოსანი ,,სლავა'', უფრო პატარა ჯავშნოსნები ,,იმპერატორ ალექსანდრ II'', ,,იმპერატორ ნიკოლაი I'', კრეისერი ,,ადმირალ კორნილოვ''-ი და სანაღმო კრეისერი ,,აბრეკ''-ი. (რ.)

გენ. კუროპატკინი, პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, ბრძოლის ველიდან პირდაპირ ყირიმში ჩამოვა და თავს იქ იწამლებს. (რ.)

ბიუროკრატია და პორტ-არტური. ,,რაზსვეტს'' კრასნოიარსკიდან ატყობინებენ: ამ დღეებში მთელ რუსეთის გაზეთებში დაიბეჭდა, ესა და ეს მოსამართლენი პორტ-არტურის სამოსამართლო პალატის წევრებად დაინიშნენო. იმასაც იუწყებოდნენ, ვითომ რომელიღაც კომისია პორტ-არტურის საოლქო სასამართლოს შედგენაზე მუშაობსო. ყველა ეს იმას ამტკიცებდა, რომ ბიუროკრატიული მანქანა არაფერს არ დაგდევს და ისე მუშაობს, თითქო ცალიერ სივრცეში იყოს და არა ქვეყანაზე; მაგრამ ჩვენ მაინც არა გვჯეროდა, რომ ბიუროკრატიას ზემოხსენებულ განკარგულების ასრულება მოუნდომებია. ნამდვილადკი შევცდით. მარტის გასულს ერთმა პორტ-არტურში გადასაყვანად დანიშნულმა მოსამართლემ ზაკონოვმა გზის ხარჯად 2000 მ. მიიღო... პორტ-არტურში წასასვლელად. (რ. ვ.)

იაპონია და გერმანია. იაპონური გაზეთი „ძიძი“ სწერს: გერმანიამ იაპონიას ბევრი კეთილი საქმე გაუკეთა: ჯარი გაუწვრთნა, აფიცრები მოუმზადა და ამიტომ ჩვენს გამარჯვებაშიაც ცოტა წილი უდევს. ჩვენ დიდ მადლობას ვუხდით გერმანიას, ხოლო რაც შეეხება გერმანიის იმპერატორს, საქმე სხვანაირად არის. იმპერატორი ვილჰელმი იაპონიის გამარჯვებას შიშით უყურებდა, ვაი თუ გაძლიერებულმა იაპონიამ ჩემი ინტერესები შებღალოსო. ამის გამო იაპონიასაც ეჭვი შეეპარა, იქნება ვილჰელმი მთელის გერმანიის ხალხის სახელით ლაპარაკობს და იქნება ეს ხალხიც იმავე აზრისაა იაპონიაზე, როგორისაც იმპერატორიაო. მაგრამ ეს ეჭვიც მალე გაქარწყლდა. გერმანელებმა მტკიცედ განაცხადეს, ჩვენ იაპონიის თანაუგრძნობთო და ამით იმპერატორს ოპოზიცია გაუმართეს. ამის შემდეგ იაპონიას სწამს, რომ გერმანია სინიდისიერად მოიქცევა და წინდაუხედავად რუსეთს არ მიეკედლება (რ. ვ.).

საფრანგეთი და იაპონია. თვეზე მეტს იდგა ადმ. როჟესტვენსკი საფრანგეთის პორტებში და ამით, ცოტას გასწყდა, იაპონია საფრანგეთს არ გადაეკიდა. „ტაიმს"-ის პარიზელ კორესპონდენტს ამას წინად გამოჩენილი ფრანგი დეპუტატი დელონკლი (ინდო-ჩინეთშია არჩეული დეპუტატად) ენახა და რუსის ესკადრის მოქმედებაზე ესაუბრნა. კორესპონდენტს ეთქვა გავლენიან დეპუტატისთვის: ვაი თუ ადმ. როჟესტვენსკის მოულოდნელმა დაბრუნებამ საფრანგეთის პორტებში იაპონია ააღელვოს და რაიმე არა-სასურველი საქციელი ჩაადენინოსო.

— თუ ღმერთი გწამთ, მიბრძანეთ, აბა რა ვქნათ?—ეპასუხნა დელონკლს.—განა ვიფიქრებდით როდისმე, რომ ასეთ სულელურ მდგომარეობაში ჩავვარდებოდით? ვინ იფიქრებდა, რომ ადმ. როჟესტვენსკი ჩაჯდებოდა ჩვენს პორტებში და როცა ჩვენ წასვლას მოვსთხოვდით და დავემუქრებოდით, ის აუშფოთებლად მუდამ ერთსა და იმავე პასუხს მოგვცემდა: „J'y suis, j'y reste"! („აქა ვარ და აქვე ვრჩებიო"). ჩვენ არას დროს არ მოველოდით ასეთს საქციელს რუსებისაგან. როცა გავიგეთ, რომ ბალტიის ესკადრა ჩვენს ინდო-ჩინეთის პორტებში დაბინავდა, გვინდოდა ჩვენი ხმელთა-შუა ზღვის ესკადრა გაგვეგზავნა, ესე იგი ერთად-ერთი ნამდვილი ღონისძიება მიგველო, მაგრამ გვიანღა იყო. ერთის თვის განმავლობაში რუსის ადმირალი სამჯერ დაგვპირდა, ხვალ უსათუოდ წავალო. მართლაც მიდიოდა, მაგრამ იმ წამსვე უკან ბრუნდებოდა. სწორედ სასაცილოდ აგვიგდეს რუსებმა და დღესაც სასაცილოდ გვიგდებენ (ამ საუბრის დროს ადმ. როჟესტვენსკი ისევ ხონკოეს ბუხტაში იდგა). ინდო-ჩინეთში ასი კრეისერი მაინც უნდა გვყოლოდა, რომ ჩვენის ბუხტებისა და პორტების შესავალი ჩაგვეკეტა და რუსები შიგ აღარ შეგვეშო. მინისტრთა საბჭოში ჯერ კიდევ გუშინ სერიოზულად ლაპარაკობდნენ ხმელთაშუა ზღვის ესკადრის გაგზავნაზე და, თუ ესკადრა ნამდვილად არ გაგზავნეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მეტად გვიან მოიფიქრეს. ვიმეორებ, ჩვენ უძლურნი აღმოვჩნდით ამ საქმეში და, თუ იაპონია რაიმე მოულოდნელ საქმეს ჩაიდენს, ჩვენ სრულებით არ გაგვიკვირდება: დიდი ხანია, ველით ასეთს საქციელს (რ. ნ.).

ტაიფუნების პერიოდი. ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ „დელი ნიუს"-ს: ბერლინში მცხოვრებ იაპონელთა წრეები ამბობენ, მაისის ნახევრიდან ტაიფუნების პერიოდი დაიწყება და რუსის ფლოტის ძველი გემები გაშლილ ზღვაში დიდ განსაცდელში ჩავარდებიანო (რ. ს.).

ახალი ამბავი

სად. **ქარელიდან** (გორის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ **მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე არჩილიშვილი** (იგივე ციციშვილი).

◆ დიდ-გომარეთის მღვდელს მ. ქ. თხინვალელს, გუბერნიის ადმინისტრაციის ნებართვით, საზღვარ-გარეთიდან მოსვლია 7—8 ცალი ახალ სისტემის თოფი და თავის დიაკვნის არჩილ იოსაბაძესათვის გაუტანებია სოფელში. გზაზე სტრაჟნიკებს დაუპატიმრებიათ დიაკვანი იოსაბაძე... იოსაბაძე უკვე ჩამოიყვანეს ტფილისში და დაატუსაღეს.

◆ გუშინ, 11 მაისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, მოურავის თავმჯდომარეობით, შესდგა **კრება ტფილისელ მეაფთიაქეებისა გაფიცვისა გამო,** რომელიც მოახდინეს ამ აფთიაქების ფარმაცევტებმა და რომელიც დღესაც არ შეწყვეტილა. კრებას დაესწრნენ თითქმის ყველა ტფილისის მეაფთიაქეები. ერთი-ორის გარდა, კრებამ, დიდის ხნის თათბირის შემდეგ, დაადგინა, არჩეულ იქმნას სამედიატორო სასამართლო ექვსი კაცისაგან, რომელთაც თავის მხრივ მეშვიდე უნდა აირჩიონ. სამედიატორო სასამართლომ უნდა განიხილოს მოსამსახურეთა ყველა მოთხოვნილებანი.

◆ როგორც გავიგეთ, **ბერდანის სისტემის თოფები დაურიგებიათ სოფ. პრიუტში მცხოვრებ რუსებისათვის.**

◆ გუშინ, 11 მაისს, მაზრის უფროსს აცნობა სოფ. **ოქროყანის** მამასახლისმა, ჩვენის სოფლის თავზე **ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილის მოკლულ კაცის გვამია** და შეამოწმეთო. გუშინვე გაგზავნა მაზრის უფროსმა თავისი თანაშემწე და მაზრის ექიმი.

◆ კვირას, 15 მაისს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე გადახდილ იქმნება **წლის წირვა** ცნობილ პოეტის და მთარგმნელის **იოსებ ბაქრაძის** სულის მოსახსენებლად.

◆ 10 მაისს, ტფილისში მოხდა **ქართველ ქალთა კრება**. შესდგა ქართველ ქალთა კავშირი, რომელსაც დამოკიდებულება ექმნება სრულიად-რუსეთის ქალთა კავშირთან. კრებამ სხვადასხვა რეზოლუციაც შეიმუშავა.

◆ კვირას, 8 მაისს, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა **სომხების საქველმოქმედო საზოგადოების საერთო კრება.** კრებამ გადასწყვიტა, ითხოვოს წინანდელ უფლებების აღდგენა. წინად ამ საზოგადოებას 18 განყოფილება ჰქონია.

◆ სად. ევლახზე, 10 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე და 50 წუთზე, **ორი ორთქლმავალი ერმანეთს დაეჯახა.** გზაც 18 საჟენის მანძილზე წახდა.

◆ სად. ქვალონზე 10 მაისს, დილის 4 საათზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 152 სადგურზე შემოვიდა, უფროსმა კონდუქტორმა განაცხადა, რომ მე 400 ვერსზე **გასრესილ კაცის გვამი გდიაო.**

◆ სად. ვარვარინოში, 10 მაისს, ღამით, ვილასაც მე-172 ვერსზე **დაეცა უშველებელი კლდის ჩამონატეხი,** მაგრამ მემანქანემ დროზე შენიშნა და მატარებელი № 21 გააჩერა.

◆ სოფ. თობლიაურიდან გვატყობინებენ: სამს მაისს აქ მოვიდა სართიჭალის ნაწილის **ბოქაული ნახევარ-ასეულის კაზაკით,** რომელიც, როგორც ამბობენ, გამოწვეულ იქნა ადგილობრივ მებატონე-მემამულეთაგან. ბოქაულმა ხალხი შეყარა და გამოჰკითხა საჭიროებანი. ხალხმა თავისი კერძო და საზოგადო მოთხოვნილებანი წარუდგინა.

◆ ივრის-ხეობიდან გვატყობინებენ: **ქურდებმა შეაწუხეს იქაური სოფლელებიო,** რის გამოც ზოგიერთმა სოფლელებმა მოილაპარაკეს, რაკი არავისაგან არა ვართ უზრუნველ-ყოფილნი, ამიტომ ჩვენვე მოვუაროთ ჩვენს თავსაო. როგორც გადმოგვცეს, სოფლელები მორიგეობით ყარაულების დაყენებას ჰფიქრობენ.

◆ **ი. ნაკაშიძე,** რომელიც 9 მაისს ქუჩაში მიმავალი, რაღაცა ეჭვის გამო დააპატიმრა ბოქაულის თანაშემწემ სავანელმა, იმავე დღეს ღამე **გაანთავისუფლეს.**

◆ ალექსანდრეს სასტატო სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრეს და **მასწავლებლობის მოწმობა მიიღეს შემდეგმა ქართველებმა:** პ. ჯაფარიძემ, ლ. ჯუღელმა, გ. ჟღენტმა, გ. კაკაშვილმა (მიიღო ვერცხლის მედალი), გ. ლუკავამ, ი. ხოჩოლავამ და ა. ჩოჩუამ.

◆ ამას წინად ბაქოს ქალაქის მოურავმა ბ-ნმა **ირეცკიმ** საბჭოში განაცხადა, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთ წერილი გაგზავნეს გაზეთ „სინ ოტეჩ."-ში, ვითომც მე მაჰმადიანებს სომხებზე ვაქეზებდიო. ამგვარი განცხადება მოსამსახურეთ სიცრუედ და ცილის-წამებად ჩასთვალეს და, „ს. ოტ."-ის სიტყვით, გარდასწყვიტეს ბ ნს ირეცკის ხელი აღარ ჩამოართვან. ახლა თურმე ბ-ნი **ირეცკი** თავის **თანამდებობაზე ხელს იღებს.**

◆ გაზ. „მშაკი" გადმოგვცემს, რომ ყარსში გუბერნატორის კანცელიარიის მოხელეს **ა. ლიხს მოკვლას უპირებდნენ.** ბ-ნი ლიხი სამგან ყოფილა დაჭრილი. დაჭრილი საშიშ მდგომარეობაშია.

◆ ცნობილი სომეხი მოღვაწე **ერვანდ ლალაიანცი ძველ ნახიჩევანის მაზრას დაივლის** ეთნოგრაფიულ გამოკვლევისთვის. იქ ლალაიანცი ძველ ნივთებსაც იყიდის კავკასიის მუზეუმისათვის,—განსაკუთრებით ისეთ ნივთებს, რომლებიც სომეხთა ძველ ცხოვრებას ეხება.

◆ 2 მაისს, როდესაც კავკასიის ნამესტნიკი ნახიჩევანის სადგურზე იყო, ნახიჩევანში საცხოვრებლად გაგზავნილმა რამოდენიმე სომეხმა, სხვათა შორის, ბ-ნმა ამირხანიანმა, **სთხოვეს** ბ-ნ ნამესტნიკს და მის მეუღლეს თავისი **განთავისუფლება.** ნამესტნიკიც დაჰპირდა, რომ მათ საქმეს ხელახლად გაახილვინებს („მშაკი").

◆ ქუთაისის გუბერნიაში დაპატიმრებულმა **ორმოცდაათმა კაცმა** კავკასიის ნამესტნიკს სთხოვა, **ჩვენი საქმე გამოიძიეთ, რადგანაც უსაბუთოდ ვართ დაპატიმრებულიო.** ეს თხოვნები ნამესტნიკმა ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორს თ-დ ი. მ. ჯამბაკურ-ორბელიანს გადასცა განსახილველად. თ-დი ჯამბაკურ-ორბელიანი გუშინ, 11 მაისს, მივიდა მეტეხის ციხეში და ადგილობრივ განიხილა ეს თხოვნები. თითოეულს მათგანს ცალკე „კამერაში" გამოჰკითხა საქმის ვითარება და გუშინვე ყველანი, რიცხვით 50 კაცამდე, გაანთავისუფლა.

◆ ინჟინერმა ვურცელმა ამას წინად შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა კავკასიის ქედზე რკინის გზის გაყვანისათვის. გზას უნდა გაევლო გლოლიდან სოფელზე: თვალივი, მაღაროსკარი, ბარისახო და არხოტზე და ჩასულიყო კავკავში. ამ ხარჯთ-აღრიცხვის დასამტკიცებლად ინჟინერი ვურცელი პეტერბურგსაც გაემგზავრა. როგორც ახლა გვატყობინებენ, ვურცელის პროექტი გზათა სამინისტროს არ დაუმტკიცებია ომიანობის გამო ხარჯების გადიდების მიზეზით და ამ საკითხის გადაწყვეტა სხვა დროისთვის გადაუდვია.

◆ გუშინ, 11 მაისს, **უსახელო საზოგადოების წარმომადგენლებმა და მოსამსახურეებმა** ნოტარიუსთან ხელი მოაწერეს **სამედიატორო** პირობას. უსახელო საზოგადოებას კიდევ ხუთი დღის ვადა აქვს. თუ ამის განმავლობაში სამედიატორო სასამართლო მისი მიზეზით არ შესდგა, ჯარიმა უნდა გადახდეს.

◆ **ქალაქის საყასბოში აპრილში დაუკლავთ** მსხვილ-ფეხი საქონელი 2,877 სული, ხბო 328 ღორი 32, ცხვარი, 15,133;

◆ **ქუთაისის ქალაქის გამგეობამ** სთხოვა ტფილისისას, ხოლერის გაჩენის დროს **თქვენი ლაბორატორიით გვასარგებლეთ,** რადგანაც ჩვენ ლაბორატორია არა გვაქვს მოწყობილიო.

◆ საგუბერნიო სამკურნალოს ანგარიშით, ახალქალაქის მაზრაში არსებულ **ქსენონებში** აპრილში ყოფილა 318 ავადმყოფი, ახალციხისაში 481, სიღნაღისაში 563 და ყარაიაზისაში (ტფ. მაზ.) 232, სულ ოთხივეში 1594 **ავადმყოფი ყოფილა.**

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით, **ბაკურიანის შტოზე,** სადაც ქლექიანების სანატორია შენდება, ამიერიდან **უნდა გაჩერდეს** ყველა სახალხო და ზოგიერთი სახალხო და საქონლის **მატარებელიც.**

◆ **ტფილისის ღამის პირველ თავშესაფარში** იმ თვის განმავლობაში ღამე გაუთევია სულ 3767 კაცს ორთავე სქესისას. ამ რიცხვიდან რუსი ყოფილა 1657 კაცი, 186 ქალი, სომეხი 220 კაცი, 4 ქალი, ქართველი 369 კაცი 30 ქალი, თათარი 17 კაცი, გერმანელი 60 კაცი, 1 ქალი, პოლონელი 150 კაცი, სხვა ერივნებისა 75 კაცი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

ბაქო, 11 მაისი. **საღამოს 4 საათზე ბაქოს გუბერნატორი, თავადი მიხეილ ნაკაშიძე ყუმბარით მოჰკლეს.** მასთან მოკლულია თაყაიშვილი და ორი თათარი.

ქუთაისის ცხოვრება

9 მაისს ქალაქის საბჭოს დარბაზში უნდა მომხდარიყო ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურე პირთა კრება. კრებას მსჯელობა უნდა ჰქონოდა მოსამსახურე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესობის და, სხვათა შორის, ქალაქის საბჭოს-მიერ დამტკიცებულ საპენსიო კასის წესდების შესახებ, რომელსაც ბევრი ნაკლულევანება აღმოსჩენია. როგორც გავიგეთ, ერთ ხმოსანს განცხადება შეუტანია საბჭოს სახელზე, რომ ხელმეორედ განხილულ იქმნეს საპენსიო კასის წესდება.

◆ საღორიის აგარაკის მოიჯარადრეთ ქალაქის გამგეობის, მიერ ნება მიეცათ, რომ შეკრიბონ ქალაქის საბჭოს დარბაზში თავის ჭირ-ვარამის შესახებ მოსალაპარაკებლად. ეხლა საჭიროა, რომ გუბერნატორმაც ნება დართოს მათ შეკრებაზე.

◆ 7 მაისს, ქუთაისიდან რაჭა-ლეჩხუმის კაზაკი გაიგზავნა.

◆ ქუთაის[illegible] — ქუთაისის მაზ[illegible] უფროსი [illegible] რომელ ლეჩხუმ სვანეთში იყო წასული და იმედი [illegible] დ, როგორც ადგილობრივი მკვიდრი, დაამ[illegible] დებდა გლეხების მოძრაობას. რამდენიმე დაუჭერიათ, სხვათა შორის, თავადი ლევან ბ[illegible] ბეისძე დადეშქელიანი და თავადი პლატონ [illegible] ვლედიანი. როგორც გავიგეთ, ხსენებულ [illegible] დაჭერას ძლიერ აუღელვებია, როგორც თავ[illegible] აზნაურობა, ისე გლეხობა.

◆ ქალაქის გამგეობამ წერილები დაუგზ[illegible] ქალაქის სასანიტარო მზრუნველებს; სთხ[illegible] რომ განაახლონ თავისი მოქმედება ქალაქის სუფთაების შესახებ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეხლა ქალაქი მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია და საჭიროა ენერგიული ზომები, თორემ, ხოლერა თუ გვეწვია ამ ქესატობის დროს სულ მუსრს გაგვავლებს.

ისაკ.

მედიატორეთა სამართლის განაჩენი შესახებ პეტერბურგელ ქართველ სტუდენტთა წრეების საქმისა

„იმ უთანხმოების გამო, რომელიც მოხდა პეტერბურგელ ქართველ სტუდენტთა წრეში [illegible] ეს წრე გაჰყო ორ მოპირდაპირე ბანაკად, [illegible] ვე მოდავე მხარემ დაადგინა, სამედიატორო [illegible] მართალს გადასცეს განსახილველად თავიან[illegible] დავა; ამიტომ ერთმანეთის თანხმობით ამო[illegible] ჩიეს ოთხი მოსამართლე, რომელთაც მინ[illegible] მეხუთე მოსამართლის არჩევა და ამასთანავე სა[illegible] მართლოს თავმჯდომარისა, ორივე მხრივ [illegible] ჩეულთ—მ. მ. ვინავერმა, ა. ი. ნოვიკოვ[illegible], ე. ვ. ტარლემ და ს. პ. იურიცინმა—იკისრ[illegible] ხსენებულ საქმის განხილვა და სამედიატორო სამართალში მონაწილეობის მისაღებად მოიწ[illegible] ვიეს ნ. ი. კარეევი, რომელმაც იტვირთა [illegible] რეთვე თავმჯდომარეობაც.

„სამართალზე, რომელიც მოხდა 1905 წლ[illegible] იბერვალს, მარტსა და აპრილში, მოკამა[illegible] მხარეთა თავმჯდომარეებად 1) გამოვიდნენ.

1) ქართველთა ძველის ანუ დედა-წრისა, რო[illegible] მელშიაც დარჩა უმრავლესობა (74 კაცი 2) პეტერბურგში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობი[illegible] სა,—ბ-ნნი ალექსანდრე მიქელაძე, ილია ქარ[illegible] ვაძე, პეტრე ქარცივაძე, ვარლამ გელოვანი [illegible] გიორგი ყაზახაშვილი.

2) ქართველთა ახალ ანუ გამოყოფილ წრი[illegible] (49 კაცი)—ბ-ნნი დ. გაბაშვილი, კ. ასათიან[illegible], დ. ვაჩნაძე, დ. ნატროშვილი და გ. დადიანი.

„თავიანთ სხდომებზე მოსამართლეებმა მოისმინეს, გარდა მოკამათე მხარეებისა, მათ-მიერ წარმოყენებულ მოწმეთა ჩვენებანიც და ხელთა ჰ[illegible] დათ აგრეთვე სხვადასხვა წერილობითი საბუთე[illegible] ბი; ერთი მხარის თხოვნით (ძველის წრისა) რაზ[illegible]

---

1) დედანში შეცდომით ნათქვამია „თავმჯდომარეებად" (председателями), უნდა იყოს — წარმომადგენლებად (представителями). ა. მ.

2) სიით ითვლება 85 კაცი, მაგრამ ამათგან 11 წევრ[illegible] ამჟამად დროებით არ იმყოფება პეტერბურგში. ა. მ.

ფელეტონი

ჩვენი „ბურჟები"

კაცობრიობა და სამშობლო!—რამდენი ქაღალდი და მელანი დახარჯულა ამ ორი ცნების განსამარტავად! რამდენი შრომა დაუდვიათ, ვინ იცის, რამდენი ღამე უძილოდ გაუთენებიათ...

ასე იქნებოდა მაშინ, როდესაც მეცნიერები მუშათა კითხვას არკვევდნენ და საზოგადოდ მუშათა შორის ინტერესთა შეთანხმებას ცდილობდნენ; ასე უნდა იყოს მაშინაც, როცა რომელიმე მქადაგებელი შეუდგება ფიქრსა და მომზადებას იმაზე, თუ „ვინ არს მოყვას ჩემდა!!.

ასე იქნებოდა მაშინაც, როდესაც ჩვენში მეურნეობისა და „განათლების წარმატების ‚‚სურველი‘‘ ბიუროკრატია გერმანელთა კოლონიას აარსებდა.

ალბად მაშინაც ასე იყო, როცა ეგევე ბიუროკრატია ჩვენში უპერანგოს პერანგს ხდიდა და ,,მუჟიკთათვის‘‘ დასასახლებელ ადგილებს ზომავდა.

ზემო აღნიშნულ საკითხთა შესახებ დღესაც ბევრნი იღვწიან, ბჭობენ, აქვთ ერთმანეთში დავა, მაგრამ ამ თავ-სატეხი კითხვის გადაწყვეტა და განხორციელება ,,შესძლო‘‘... ვინ?—ვინც ხალხსა და მის გაჭირვებას სრულებით არ იცნობდა არც არავითარი სურვილი ჰქონია მის გაცნობისა; ვინც ხალხთან ძლიერ დიდის მანძილით იყო და არის დაშორებული და მისი ნამდვილი ინტერესები თავის პირად ,,მე‘‘-ს ანაცვალა, მსხვერპლად შესწირა..

ახირებული პრეტენზიაა ასეთის პირებისაგან ისეთის დიდის სოციალურ კითხვის გადაწყვეტა, როგორიცაა ზემო-აღნიშნული!..

სოციალური კითხვის გადაწყვეტა მათ პროგრამაში, რასაკვირველია, ვერ შევიდოდა... მათ კითხვა თავისებურათ დასვეს და თავისებურადვე გადასწყვიტეს... შემდეგ გულზე ხელი დაიდვეს და სთქვეს: ,,ბუზი ყველა ბზუისო, მაგრამ ჩვენთან ყველა სტყუისო.‘‘

⁂

მოგახსენეთ—ბიუროკრატია ჩვენში „მუჟიკთა" დასასახლებელ ადგილებს ზომავდა, მაშინ, როდესაც ჩვენებურ გლეხს ეს ადგილი შუადღეზე სანთელით საძებარი ჰქონდა და, ვინ იცის, რა დამჩაგვრელ პირობებით იღებდა იგი ჩვენებურ მემამულეთაგან ორიოდ დღიურ მაწას... ბიუროკრატიამ კი, რაც ქართველ გლეხისთვის შეუძლებლად სცნო, ის „მუჟიკისთვის" შესაძლებლად აღიარა; რაც ჩვენებურ გლეხისთვის არ არსებობდა, ის ,,მუჟიკისთვის‘‘ უკვე არსებულად იყო ჩათვლილი; რასაც ჩვენებური გოგიები, პეტრიები და სხვანი მოკლებულნი იყვნენ და ჰაერივით საჭიროებდნენ, ის ივანიჩებს დაურიგეს!.. კაცთმოყვარეობაა, მა რა ჯანდაბა!..

ძველი ისტორიაა, მკითხველო?—ოღონდაც! მაგრამ მაშინდელი ნაჭამი ტყემალი სწორედ დღეს გვჭრის კბილებს!.. ვისი ბრალია?..

⁂

გვახსოვს, ყველას გვახსოვს ის აღფრთოვანება და უზომო გატაცება, რომელიც გამოიწვია ჩვენ ,,ბურჟთა‘‘ შორის ერთ ამგვარ ,,კაცთ-მოყვარეთა კომპანიის‘‘ ორგანიზატორის ჩამოსვლამ.

ამ ვაჟბატონებს „ზრდილობიანად" დაუკრეს თავი, გააცნეს თავის ოთახის ყოველი კუთხე-კუნჭული, გაუმართეს ნადიმები, რომლის დროსაც იგი აღფრთოვანებულ „რეჩებით" უტკბობდა სმენას ჩვენს „ბურჟებს" და ამათაც ამაყად დაიძახეს: „აღვადგინეთ საქართველოო!" დაიძახეს უშიშრად, თამამად, რადგანაც ნადიმებზე საქართველოდ მხოლოდ თავის თავი დაესახათ; იმავე დროს კი ნამდვილ „საქართველოს" ყელის გამოჭრას ხელს უწყობდნენ!...

აღმოჩნდა საშინელი გულ-უბრყვილობა, წინ დაუხედაობა და შორს გაუჭვრეტელობა! და, მგონი, დღესაც იცინის საფლავში ცნობილი (?) ველიჩკო!..

მან თავისი გაიტანა, განზრახვა შეისრულა და ამ შესრულებაში ჩვენი „ბურჟებიც" მიიშველია.

ჰფიქრობდა, რომ უამათოდ ვერაფერს გაარიგებდა, ამიტომაც ქათინაურებით მიჰმართა.

ამათაც „ქართველურად" ხელი შეუწყეს მის მოქმედებას!.. დაივიწყეს ისტორია და აწმყო!—ამით უარჰყვეს მომავალიც...

სახალხო საქმეებზე ლაპარაკობდნენ ისინი, ვინც ხალხს ჭირივით გაურბოდა; ხალხის სახელით სჯიჯნენ ისინი, ვინც მის ნდობით არ ყოფილან აღჭურვილნი; ხალხს იფიცებდა ის, ვისაც მისი არაფერი არ სწაძდა.

ეს დამტკიცდა საქმით.

ჩადენილ იქმნა ავაზაკობა, მოღალატობა, და დღეს მწარე შეცდომის მწარე ნაყოფს ვხედავთ აშკარად ყველანი!..

პოლიტიკააო!—იტყვიან.—ველიჩკოც პოლიტიკანობდა.

პოლიტიკაა ისიც, დღეს რომ ზოგიერთნი სტრაჟნიკებსა და კაზაკებს ეპატიჟებიან სოფლებში! რა იყო? რა მოხდა?—რაო, ბატონო, და—გლეხები შემოგვესივნენ, აგვიკლეს, აღარ გვედგომებაო!... რაღა იყო ამ გლეხთა „შესევის" მიზეზი"? ავაზაკობა?—არა! უმიწა-წყლობა, შევიწროვება, ცხოვრების აუტანელი მდგომარეობა...

გლეხთა შევიწროვებულ მდგომარეობით გამოწვეულ აღელვების განკიცხვას ბანი მისცეს, „ბურჟებს" გარდა, ზოგიერთებმაც, რომელნიც საზოგადოდ გაიძახიან „ერთობას"... და თავიანთი გვარი მოათავსეს უკვდავთა სიაში და ეს სია გაზეთებში გაჰგზავნეს, აცნობეს ყველას...

ვაშა თქვენს მამულიშვილობას! ბარაქალა თქვენს მოღვაწეობას! „არ დაგივიწყებთ თქვენ მომავალი"...

დ. ჭოლოველი

ორმოცი წლის შემდეგ

1863 წელს პოლონეთმა ერთხელ კიდევ შეისხა იარაღი დაკარგულ თავისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ამაოდ ჩაუარა ამ ცდამ. გამარჯვებულმა მართებლობამ ყოველი ეროვნული უფლება მოუსპო და პოლონეთის გარუსებას შეუდგა.

მართალია, იმედი გაუცრუვდა, რადგან ზნეჩვეულებანი და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ეროვნული კულტურა ბრძანებითა და „უკაზებით" არ იცვლება; მაგრამ, ეროვნებას რომ ვერა დააკლო-რა, მით უფრო სასტიკი დევნა დაუწყო ენას.

1869 წ. გამოცხადებულ ბრძანებისამებრ, პოლონური ენა განდევნილ იქმნა სკოლებიდან, სასამართლოდან, პოლიციიდან და ერთობ ყოველ სახელმწიფო დაწესებულებიდან. და რადგან რუს-მოხელეთა თვალ-ყურს ვერა გამოეპარებოდა-რა, ისე შეავიწროვეს კერძო დაწესებულებანი—სავაჭრო, სამრეწველო და საზოგადოებრივი,—რომ აიძულეს და დედა-ენის წილ ყველგან რუსული შეატანინეს.

მაშინ ბრძანა ვიტტემ, ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა: პოლონეთს გულში პირველად მე გავუტარე მახვილი და ჩემდა სასახელოდ ესეც მეყოფა!

რატომ არ იცოდა, ნეტავი, რომ ერი, გულგანგმირულიც არ დაემორჩილებოდა მის პოლიტიკას?!.

რაღა შეეძლო ღონე-მიხდილს პოლონეთს დიდი ხნის ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად, სისხლის ღვრა, საუკეთესო თავის შვილთა ციმბირს განდევნით ეკონომიური დაქვეითება, ზნეობრივი სასოწარკვეთილება... რაღა შეეძლო პოლონეთს, ოცნების მეტი? და ესეც აუკრძალა მართებლობამ.

— ტყუილად-და ოცნებობთ, ბატონებო,—უბრძანა მთავრობამ პოლონეთის წარმომადგენელთ.

კიდევ კარგი, რომ შრომის აკრძალვა ვერ მოახერხეს.

ორმოცი წლის შრომამ კვლავ ფეხზე წამოაყენა პოლონეთი, გაამაგრა ვაჭრობით, მრეწველობით და მიწად-მოქმედებით. ეკონომიურს წარმატებას საფუძვლად სწავლა უდევს და, თუმცა ხანჯალს უტრიალებდა პოლონეთს გულში სწავლა-განათლების მზრუნველი და სულს უხუთავდა, ვერა გააწყო-რა და ერმა მაინც თავისი გაიტანა.

სწავლას ეტანებოდა დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი; ყველა სკოლისკენ მიისწრაფოდა; მაგრამ სკოლა განათლებას კი არა, მოსწავლეთა გარუსებას ემსახურებოდა. ზრუნველი, პროფესორები, დირექტორები, მასწავლებლები, აღმზრდელები, ქალი და კაცი, სასოფლო სახალხო სკოლაში, თუ გიმნაზია-უნივერსიტეტში, სწავლა-განათლების მაგივრად, მართებლობისგან წმინდად აღიარებულ პოლონელთა გარუსებას ემსახურებოდნენ და ერთმანეთს ექიშპებოდნენ: ვინ უფრო ღრმად ჩაუტარებს პოლონეთს გულში ხანჯალსაო!

პოლონეთის დედა-ქალაქში, ვარშავის უნივერსიტეტში პოლონურ მწერლობას რუსულად ასწავლიდა პროფესორი და იმასაც შემოკლებულს, რადგან მე-XIX საუკუნის დიდებულ თაიგულად გარდაშლილი პოლონური ლიტერატურა აკრძალული იყო მართებლობისაგან.

უნივერსიტეტს არავითარი კავშირი არა ჰქონდა ეროვნულ ცხოვრებასთან, არავითარი გავლენა ერის გონებრივ განვითარებაზე და კომლივით უნაყოფოდ გაჰქრა მეცნიერებისთვის 40 წლის მისი მოღვაწეობა. აგრეც უნდა ყოფილიყო, რადგან უნივერსიტეტიდან განდევნილიყო მეცნიერება და მის ალაგს პოლონელთა გარუსების პოლიტიკა გამეფებულიყო.

უმაღლეს სასწავლებელს მაშინ აქვს ნაყოფიერი და მადლიანი ზე-გავლენა ერზე, როდესაც დედა-ენით და სამშობლოს სიყვარულით აღზრდილს ყმაწვილ თაობას თავისუფლად გადუშლის მეცნიერების საღაროს.

დედაენა და სამშობლოს სიყვარული კი მომაკვდინებელ ცოდვად აღიარა მართებლობამ ჩვენს გიმნაზიებში. შეჰყოფდა ფეხს გიმნაზიაში ბავშვი და მაშინვე ჰკუას ასწავლიდნენ: მეცნიერება მარტო მზრუნველის-მიერ მოწონებულ სახელმძღვანელოში მოიპოვება და ვაი შენი ბრალი, თუ სხვა წიგნებში გიძებნია საჭირო ცოდნა! ჭეშმარიტ ღმერთს მარტო მართლმადიდებელი ეკლესია ემსახურება და სხვა ყველა სარწმუნოება მწვალებლობა არის და წარმართობა! რუსული ენა სრულიად საკმარისია განათლებული კაცისთვის და, რაც მალე დაივიწყებთ პოლონურს, მით მეტს წარმატებას და წინსვლას ეღირსებით. მარტო ერთი სამშობლო უნდა სწამდეს ყოველ რუსის ქვეშევრდომს, რადგან რუსეთი რუსების და რუსების გარდა იქ სხვა ვერავინ იცხოვრებს. ადამიანის იდეალი და დანიშნულება ჩინია, ვისაც ბედნიერება უნდა, ადვილად მიაღწევს... ვაი იმ გულუბრყვილოს ბრალი, ვისაც—პოლონელი ვარო,—წამოსცდებოდა; ვაი იმისი ბრალი, ვინც პოლონურად მიმართავდა ამხანაგს, თუნდა თამაშობის დროს! ვაი იმისი ბრალი, თუ დედაენაში მეტს ცოდნას გამოიჩენდა, ვიდრე რუსთაგან შედგენილ სახელმძღვანელოში ეწერა!

ხმას ამოვიღებდით?! ციმბირი და ჩვენი ჯანი! სად იყო კანონი? სად იყო ჩვენთვის სამართალი? დამარცხებული ვიყავით და გაძარცვებული მოხელენი ისე გვიპყრობდნენ, ისე გვიგინებდნენ წმინდათა-წმინდას, რომ ისტორიაში ამგვარი ბარბაროსობა სხვა არც-კი არის. გვაწამებდნენ და საკვეხურადაც ჰქონდათ თავიანთი ვანდალიზმი!

ვიტტეს არც აპუხტინი ჩამოუვარდა, რომელიც ვიტტესავით ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იყო:

— ერთი ათი წელიწადი კიდევ და პოლონელი დედა რუსულად ეტყვის ნანას თავის შვილს!

რვა ცხრა წლის ბავშვს გიმნაზიაში არ მიიღებდნენ, თუ ეგზამენს არ დაიჭერდა და არ დაამტკიცებდა, რომ საუცხოვოდ იცის რუსული ენა და მართლწერა. ყველა საგანს რუსულად ასწავლიდნენ და, მიუხედავად ამისა, ყოველ დღე კიდევ ცალკე გაკვეთილი ჰქონდათ რუსული ენისა. დედა-ენასაც ასწავლიდნენ, თუ ისურვებდა ვინმე, ოღონდ დედაენისათვის მეექვსე გაკვეთილს ნიშნავდნენ, როდესაც მოსწავლეც დაღალულია და მასწავლებელიც.

მერმე რა ნაყოფი მოიტანა ამ პოლიტიკამ ორმოცის წლის ცდამ და პოლონელების [illegible] ნამ?

დანაც დაუტრიალეს გულში პოლონეთს, ოცნებაც აუკრძალეს, რუსული ნანაც ამღერეს რუსული... იხუვლა მოსწავლე თაობამ და ერთხმივ უარჰყო მართებლობის ნაჭირნახულევი.

— დღევანდელს ჩვენს გამრყვნელ სკოლაში ჩვენ სწავლა არ შეგვიძლიან! გონების მახრჩობელ დოგმებით სწავლის წილ სკოლა ყალბქმნილ მეცნიერებას გვაწვდის; ზნეობრივ განვითარების წილ—სულსა და გულს გვიჩაგრავს... სკოლა სწავლა-განათლების ტაძარი უნდა იყოს და არა ხალხთა შორის სიძულვილის აღძვრისა... თუ ძირიანად არ შეიცვალა სკოლა, თუ ეროვნული სკოლა არ დაარსდა, ჩვენ იქ ფეხსაც აღარ შევდგამთ!

ამას ის მოსწავლე თაობა ამბობს, რომლისთვისაც დედებს რუსული ნანა უნდა ემღერათ.

ა. მ.

დენიმე ამ საბუთებისა სამართალს წარმოუდგინა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა უნივერსიტეტის არქივიდან.

„ზემოხსენებულ მედიატორეთა სასამართლომ განიხილა საქმის ყველა გარემოება და ერთხმად დაადგინა შემდეგი:

„**პირველი**. სასამართლოს აზრით, დამტკიცდა, რომ ახალ წრის წევრებს სცოდნიათ, რომ ერთი გარეშე პირი სწერდა უნივერსიტეტის რექტორს წერილებს, სადაც სახელს უტეხდა იგი პატიოსნებას ძველის წრის ერთის წევრისას, რომელიც იყო იმავე დროს ამ წრის წარმომადგენელი; ამიტომ სასამართლოს უმართებულოდ მიაჩნია საქციელი ახალ წრისა, რომ ამ პირთან არ მოუსპია დამოკიდებულება. თუმცა სჩანს აგრეთვე ისიც, რომ იმავე პირს მიუწერია პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისთვის, მაგრამ არ მოიპოვება დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ეს გარემოებაც აგრეთვე სცოდნოდა ახალ წრეს.

„**მეორე**. სასამართლოს მიაჩნია დამტკიცებულად, რომ ახალ წრის წევრებს სცოდნიათ ისიც, რომ პირველ მუხლში მოხსენებულმა პირმა საჯაროდ უწოდა ძველი წრის ორ წევრს (ერთი მათგანი წრის ხაზინადარი იყო) ჯაშუში და „პოდლეცი",—და ამიტომ ჰფიქრობს, რომ იმის შემდეგ ამ პირთან დამოკიდებულების განგრძობა უმართებულოა.

„**მესამე**. სასამართლოს მიაჩნია აგრეთვე უმართებულოდ, რომ ახალმა წრემ თავის-მიერ გამართულ საღამოს უწოდა „ქართული", თუმცა ეს სახელწოდება ყოველთვის ეკუთვნოდა იმ საღამოებს, რომელსაც მართავენ ხოლმე ყველა ქართველები; მით უმეტეს, ახალ წრის წევრებს უნდა სცოდნოდათ გამოცხადება იმისი, რომ საღამოს შემოსავლიდან 15°/₀ გადაიდება ომში მოკლულთა და დაჭრილთა ოჯახების სასარგებლოდ,—სტუდენტობაში იწვევს თვალსაჩინო უთანხმოებას.

„**მეოთხე**. სასამართლოს გასაკიცხ საქციელად მიაჩნია, რომ მეორე წრემ გამართა აგრეთვე საღამო [1]) და მასთან ცეკვა იმ დროს, როცა მთელი საზოგადოება განიცდიდა უმწვერვალეს ტრაღიკულ სულის-კვეთებას, როცა საზოგადოების ამგვარი მდგომარეობა განსაკუთრებით ემჩნეოდა ყველა უმაღლეს სასწავლებელს და არც ერთი ჯგუფი მოსწავლე ახალგაზდობისა არ მართავდა ჩვეულებრივ საღამოებს, მით უმეტეს—უნდა დავუმატოთ—რომ ძველი წრე ურჩევდა ახალ წრეს, ნუ იზამთ მაგ საქმესაო.

„**მეხუთე**. ახალი წრე ბრალსა სდებს ძველ წრესა, რომ მას შემდეგ, რაც საქმის გარჩევა მიანდეს სამედიატორო სასამართლოს, ძველი წრე, როგორც სიტყვიერად, ისე ბეჭდვით, ავრცელებდა ჩვენს შესახებ სხვადასხვა ხმებსაო; ამ მხრივ, სასამართლოს აზრით, არავითარი საბუთი არ ამტკიცებს, რომ ძველი წრის წევრთა საქციელი აღემატებოდეს უბრალო ჩვეულებრივ ლაპარაკსა და მითქმა-მოთქმას, რაც ბუნებრივად თან ახლავს ხოლმე ამგვარ წაკიდებას, მით უმეტეს, როცა ეს მითქმა მოთქმა ორივე მხრიეია.

„**მეექვსე**. ბ-ნი დ. გაბაშვილი მართლა ჩირქსა სცხებდა თუ არა თ-დ გელოვანის სახელსა? რაკი სასამართლოს ვერ დაესწრო მოწმე თ-დი კ. ჩერქეზიშვილი, რომელმაც გამოჰგზავნა წერილობითი ჩვენება, და რაკი თვით ბრალდებულმა უარჰყო ფაქტი, ამიტომ სამართალს არ ძალუძს, გადაჭრით სთქვას, რომ ბ-ნმა გაბაშვილმა უწოდა თ. გელოვანს მტაცებელი საზოგადო ფულისა; გარნა სასამართლო შესაძლებლადა სცნობს, ფაქტიურის მხრივ გამტკიცებულად მიიჩნიოს ის, რაც სთქვა თვით ბ-ნმა დაბაშვილმა ამ ინციდენტის შესახებ. ამასთანავე სასამართლო აღიარებს, რომ ბ-ნ გაბაშვილს არა ჰქონდა საკმაო საფუძველი გამოეთქვა თავ. გელოვანისადმი ჩრდილის მიმყენებელი იჭვი—გულწრფელობა და უცნაურობა გელოვანის საქციელისა მასთან მიბარებულ საზოგადო ფულის შესახებ.

„**მეშვიდე**. თავადმა მიქელაძემ შეურაცხჰყო თუ არა მთელი ახალი წრე, ბ-ნ გობეჩიასადმი წერილში? ამის შესახებ სამართალი იმ აზრისაა, რომ იმ წერილით მიქელაძემ არ შეურაცხჰყო ახალი წრე, რადგან საქმე თავ. მიქელაძისა და ბ-ნ გობეჩიასი სრულიად კერძოა, და შეურაცხმყოფელი კილო თავ. მიქელაძის წერილისა, რომელიც ბ-ნ გობეჩიასადმია მიწერილი, არ ეხება ახალ წრის პატიოსნებას.

„ეს განაჩენი, ყველა ხუთივე მოსამართლის მიერ ხელმოწერილი, უნდა ინახებოდეს სასამართლოს თავმჯდომარესთან; ხოლო განაჩენის პირები, შემოწმებული თავმჯდომარის მიერ, მიეცეს ორივე მხარეს. ს.-პეტერბურგი, 4 აპრილი 1905 წელი.

ნამდვილზე ხელს აწერენ: ნ. კარეევი, მ. ვინავერი, ა. ნოვიკოვი, ს. იურიცინი, ე. ტარლე.

ნამდვილთან სწორია—თავმჯდომარე სამედიატორო სასამართლოსი, პროფ. ნ. კარეევი".

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრის წარმომადგენელი **ალ. მიქელაძე**.

---

[1]) დედანში შეცდომითაა ნათქვამი—საღამო, უნდა იყოს ოპერა ანუ საოპერო საღამო, რადგან საკუთრად საღამო, 10 დეკემბერს გამართული, მესამე მუხლშია მოხსენებული. ა. მ.

სადღეისო

კომისიები

გაყინულ კუნძულებზედ დიდ ფაცა-ფუცშია ხალხი...

სამი-ათას-სამას-სამოც-და-სამ კომისიას კიდევ ერთი ახალი კომისია მომატებია.

წინანდელი კომისიები ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ირკვევდნენ და კომისიების შრომაც იყო ნაყოფიერი:

თითო კომისიამ სამას-სამოც-და-სამი სხდომის ანგარიში წარადგინა და კომისიების იმდენი ანგარიში შეგროვდა, რომ შეიქმნა საჭირო კიდევ ერთი კომისია ამ ანგარიშების დასათვლელად და წასაკითხავად.

ერთი კომისია, მაგ., ირკვევდა ყინულზე შენობების აგებას და ამტკიცებდა, რომ ყინულზე აგებული შენობა მკვიდრია და უსაშიშრო...

მეორე კომისიას ყინულზე ხვნა-თესვის საქმის გარკვევა ჰქონდა დავალებული. სამი წლის განმავლობაში იკრიბებოდნენ კომისიის წევრები და გადასწყვიტეს ბოლოს, რომ ყინულზე ყველაფრის დათესვა შეიძლება, რომ ყინულზე ყოველი მცენარე მოდის,—და თავიანთ სხდომების ანგარიშებიც წარადგინეს სავსებით.

კიდევ ერთი კომისია ირკვევდა სიცივის მნიშვნელობას ხალხისთვის და ამტკიცებდა, რომ ზამთრის სუსხი სასარგებლოა, რომ გაზაფხულის სიოს უნდა ერიდებოდეს ყველა, გაზაფხულის დროს ბუნების განახლება არ უნდა ისურვოს არავინ.

ან კიდევ ერთ კომისიაში აქებდნენ სიბნელეს, ამბობდნენ, რომ სიბნელეში უნდა იცხოვროს ყველამ.

ეს იყო და ასეთი იყო სამი-ათას-სამას-სამოცდა-სამ კომისიის მოღვაწეობა: ყინულზე სახლების აგება, ყინულზე ცხოვრების განვითარება, სუსხი, სიცივე და სიბნელე...

და ჩრდილოეთის ზღვის გაყინულ კუნძულზე ხალხი განცვიფრებით უყურებდა კომისიების მოღვაწეობას, უკვირდა ამდენი სიბრძნე...

უკვირდა იმიტომ, რომ ყველგან დედამიწაზე სინათლე, გაზაფხულის სიო, მზის სხივი საჭიროდ და აუცილებლადაც მიაჩნია ყველას...

უკვირდა იმიტომ, რომ ცხოვრების აშენება ყინულზე ყველგან სისულელად მიჩნეულია, რომ ყველგან ცდილობენ მკვიდრი და ნაყოფიერი ნიადაგი მოუპოვონ ცხოვრებას.

და მხოლოდ სამი-ათას-სამას-სამოც და-სამ კომისიის წევრთა სიბრძნემ გამოარკვია, რომ მთელი კაცობრიობა შემცდარი ყოფილიყო, და ცხოვრებაც კუნძულზე ამიტომ განსხვავებული იყო, სიმკვიდრეს მოკლებული, სუსხიან ზამთრისაგან გაშეშებული, უმიზნო...

ყინულით მოფენილ არე-მარეში ერთი ცოცხალი ადამიანიც არა სჩანდა არსად...

მხოლოდ შორს, შორს, საჭხრეთისაკენ არ იყო ყინული... თავისუფალი ზღვა მედიდურად ღელავდა, ბუნება ლამაზად ამწვანებულიყო, ადამიანი იყო ბედნიერი, თავისუფალი...

დრო შეიცვალა... სამხრეთიდან გაზაფხულის ქამს დაჰბერა სიომ, ჰაერი შეინძრა, გათბა იქაურობა...

ყინულსაც, რომელიც ჰბოჭავდა ბუნების ძალებს, დაეკარგა თანდათან მისი უწინდელი სიმკვიდრე და აქა იქ მისი ზედაპირი დაეცა და დაიმტვრა კიდეც...

ხალხი შეშინდა... სითბო-სინათლეს შეუჩვეველმა მორთო გამწარებით ყვირილი: მიშველეთ, ვიღუპებით...

და „საქმის გამოსარკვევად", „საქმის მოსაგვარებლად" მოიწვიეს, წინანდელ სამი-ათას-სამას-სამოც-და-სამ კომისიას გარდა, კიდევ ახალი კომისია, რომელსაც დაერქვა სახელად „ჩრდილოეთის ზღვის კუნძულის გასათბობად შესაფერ საშუალებათა გამომრკვევი კომისია", თუმცა ზოგიერთი ხუმარა ამ გრძელ და ძნელად გამოსათქმელ სახელის მაგივრად ამბობდა მოკლედ: „მატყუარა კომისიაო"...

კომისიის თავმჯდომარე იყო მეტად ცნობილი ივან ივანიჩი ივანოვი, რომელიც წინად სინათლის მომსპობ კომისიაში ყოფილა წევრად; მას გარდა იღებდნენ მონაწილეობას კომისიაში: პეტრ პეტროვიჩ პეტროვი, ნიკოლაი ნიკოლაიჩ ნიკოლაევი, სემენ სემენიჩ სემენოვი, სილა სილიჩ სილოვი,—ყინულზე სახლების აშენებით გამდიდრებული.

ამ კომისიის დაარსება მთელს ქვეყნიერებას აცნობეს,—ხუმრობა საქმეა,—„ჩრდილოეთ ზღვის კუნძულის გასათბობი საშუალება უნდა გამოენახა"...

კომისია ყველას ეკერა პირზე, ყველა ამ კომისიის წევრებზე ლაპარაკობდა, ყველა შენატროდა მათ, რომ ისინი ამ დიად საშუალებას გამონახავენო...

ყველამ, დიდმა და პატარამაც, ამ კომისიაში მონაწილეობა ისურვა,—ჯერ კომისიაში შესულიც არ იყო და ყველა თავის გამოსაჩენად გაიძახოდა;—არა მე ვიცი საჭირო საშუალება და არა მეო...

ის დარბაზი, სადაც ამ კომისიას უნდა მოეყარა თავი, აივსო ხალხით,—ხალხი იყო გარედაც, ქუჩაში, მინდორზე, გარშემო მთებზე... ყველგან ხალხი, ყველგან კომისიაში მონაწილეობის მსურველი...

ხალხის სიმრავლით შეშინებულმა კომისიამ ჯერ გამოაცხადა: დაიშალეთ, ჩვენს მეტი სხვა ახალი წევრი შიგ არავინ არ იქმნებაო.

მერე, ხალხი რომ არ დაიშალა, კომისიამ კიდევ წესიერების დამცველი ახალი კომისია შეადგინა და დაავალა წესიერების აღდგენა და ხალხის გაფანტვა... მაგრამ ამ საშუალებამაც ვერ გასჭრა და ხალხი კი თანდათან მოდიოდა გარშემო სოფლებიდანაც.

მაშინ კომისია მიიმალა, სადღაცა ოთახში, კარჩაკეტილში შეგროვდა და გადასწყვიტა საქმე მალე გამოერკვია...

თავმჯდომარემ გამოაცხადა: მითხარით მალე, რომელი საშუალება იცითო...

ერთმა წევრმა დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ, ხალხის აზრით, საჭიროა გადაიფხიკოს ყინული, რომელიც ჰბოჭავს ბუნების ძალებს, მაგრამ დანარჩენმა წევრებმა ამის გაგონებაზე ყვირილი მორთეს,—მოგვშორდი, მოღალატეო! ჩვენ ისე უნდა გავათბოთ კუნძული, რომ ყინული ხელუხლებელი დარჩესო, ვინაიდან იმთავითვე ამ კუნძულზე ყოფილა ყინული და შემდეგშიაც უნდა იყოსო უთუოდ...

მხოლოდ რამოდენისამე ხნის თათბირის შემდეგ გამოცხადდნენ ხალხში და შესძახეს:

— არამზადებო! დაწყნარდით, ვერ ხედავთ, რომ ვზრუნავთ ყოველთვის ხალხისთვის!.. დეე, იყოს გაზაფხული და დარჩეს ყინულიც, შეიძლება ორივე ერთად! შეიძლება ზამთრის სუსხი გაზაფხულშიაც, შეიძლება სიბნელე სინათლეშიაც... დაიჯერეთ, დაუჯერეთ ჩვენს გამოცდილებას... სამი-ათას-სამას-სამოც-და-სამი კომისია წინად ამტკიცებდა ყინულის საჭიროებას და ჩვენც ამ კომისიების აზრს ვერ გადავუხვევთ და... ამიტომ...

მაგრამ ხალხმა გააწყვეტინა ლათაიები... დაბერა ქარმა... დათბა ჰაერი... ერთი საშინელი გრიალი მოისმა... და ყინული, რომელიც წინად გადაჰკროდა მთელს არე-მარესა და სპობდა ბუნების ძალებს, ახლა სკდებოდა ყველგან...

გამოჩნდა მწვანე, გამოჩნდა ახალი ცხოვრება...

და ყინულს თან გადაჰყვა სამი ათას-სამას-სამოც-და-სამ კომისიის ნაშრომი...

და უკანასკნელი კომისიაც მოისპო...

ნ. ნ.

პრესსა

გაზეთ „მოსკოვსკია ვედომოსტ"-ში შემდეგი საყურადღებო და სასაცილო წერილია დაბეჭდილი კავკასიის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ.

სანამ რუსეთში რევოლუციაზე ლაპარაკობენ და ემზადებიან, რუსეთის განაპირა ადგილებში სიტყვა უკვე საქმედ აქციეს.

ფინლიანდიაში რუსეთის მთავრობას სიკვდილით სჯიან, ქუჩა-ქუჩა დემონსტრაციებს ახდენენ და ყვირიან, ძირს რუსეთიო! პოლონეთში სწორედ ისეთივე ამბები ხდება, როგორიც 1863 წლის აჯანყების წინა დღეებში ხდებოდა. კავკასიამ ხომ ყველას გაუსწრო.

გურიასა და სხვაგანაც პირდაპირი აჯანყება მოხდა რუსეთის წინააღმდეგ.

გურიის აჯანყება მარტო გურიის აჯანყება არ გახლდათ. გურიის მოძრაობა თავის-თავად უაზრო, სულელური და იმავე დროს ნაადრევი, დაჩქარებული აჯანყება იყო. ის იყო მხოლოდ დასაწყისი ფართოდ განზრახულ აჯანყებისა და აკი ასეც მოხდა: გურიიდან მოძრაობა ჯერ დასავლეთ საქართველოს მოედო, მერე აღმოსავლეთ საქართველოსაც და, ბოლოს, მთელი ამიერ-კავკასიაც მოიცვა. საქმე იქამდის მივიდა, რომ რკინის გზაზე მოძრაობაც კი შესწყდა.

ცხოვრება კავკასიისა, რომელიც 50 წლის განმავლობაში „დამშვიდებული" გვეგონა, ნამდვილ მშვიდობიანობას როგორღაც არა ჰგავდა. გურიის მოძრაობა მშვენივრად ახასიათებს საერთოდ კავკასიის ცხოვრებას უკანასკნელ წლების განმავლობაში.

გურიის გარდა პოლიტიკური მკვლელობანი, ცეცხლის წაკიდება და ავაზაკობა მთელს კავკასიაშიაც ჩვეულებრივი მოვლენაა. კავკასიაში არ მოიძებნება არც ერთი ისეთი ქალაქი, დაბა და სოფელი, სადაც ამგვარი ასაშფოთებელი ავაზაკობა არ მომხდარიყოს.

საქართველოში მოძრაობის მიზეზად უმიწაწყლობას ასახელებენ.

კავკასიელები ყვირიან, რუსებს ნუ გვისახლებთო. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ მთავრობამ განაცხადა, კავკასიაში რუსებს ნუღარ ჰგზავნით, ნუღარ ასახლებთო, გადასახლება შეაჩერეთო!.

ქართლ-კახეთ-იმერეთშიაც რუს მოხელეებს ჰკლავენ და მოსაკლავად დასდევენ, სასოფლო კანცელარიებსა და ქაღალდებს სწვავენ, მთავრობასთან ყოველ-გვარ კავშირს სწყვიტენ და თავის მთავრობას ირჩევენ.

აბა, რა შუაშია აქ უმიწა-წყლობა? ეს მხოლოდ აჯანყების მიზეზი იყო და სხვა არაფერი.

ამ მოძრაობის ჩასაქრობად ბაქოსა და ქუთაისის გუბერნიებში გენერალ-გუბერნატორობა შემოიღეს, მაგრამ საქმე მაინც მწვავდება და წინ მიდის: აჯანყება საგენერალ-გუბერნატოროებსაც გასცდა და მთელს კავკასიას მოედო.

კავკასიას ცეცხლი მოედო და ეს ცეცხლი, რაც შეიძლება, მალე უნდა ჩავაქროთ, თორემ დაგვიანება შეუძლებელია: ცეცხლი გაღვივდება და ბოლოს ის იქნება, რომ რუსეთს კავკასიის მეორედ დაპყრობა და 40 წლის განმავლობაში ბრძოლა [illegible] მოუხდება. [illegible] დავიწყება არ შეიძლება.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კავკასიას რუსეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს: ადრე თუ გვიან, ჩვენ ინგლისთან ომი აგვიტყდება და კავკასიაც სწორედ მაშინ დაგვჭირდება: კავკასიიდან უნდა დავძრათ ჩვენი ჯარი ინდოეთისკენ.

ამ წერილს განმარტება არა სჭირია, ვინაიდან იგი თვითონ ღაღადებს თავის-თავად.

რუსეთი

პსკოვის გუბერნიაში, ხოლმის მაზრაში, **სიმშილობა** დაიწყო. სიმშილით უკვე რამდენიმე კაცი გარდაცვლილა. ამის მიუხედავად სამაზრო კრებამ აღიარა, ხოლმის მაზრა სურსათის მხრივ უზრუნველ-ყოფილიაო (რ. ვ.).

✦ სახელმწიფო საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი სახელმწიფოსაგან მცხოვრებთა დაზღვევის შესახებ. ეს დაწესებულება ისეთ პირობებით იქნება მოწყობილი, რომ კერძო დამზღვევი საზოგადოებები უეჭველად გაკოტრდებიან. ამრიგად, სახელმწიფომ **ამის მონოპოლიაც ხელში ჩაიგდო.** (რ. ვ.).

✦ უმაღლეს სასწავლებლებში რეფორმების შემოღების პირველ ხანებში პროფესორები საზღვარ-გარეთიდან იქნებიან მოწვეულნი (ს.).

✦ ნიჟეგოროდის გუბერნიაში, სოფ. კულებაკაში, აპრილის დამლევს ცეცხლს რამდენიმე სახლი გადაუბუგავს. აღელვებულმა გლეხობამ ცეცხლის წამკიდებლებს დაუწყო ძებნა და, ვისზედაც კი ეჭვს მიიტანდა, უწყალოდ სცემდა და აწამებდა. ჯერ ხულიგანებს მოხვდა, მერე კი ვიღამაც ბრბო დაარწმუნა, ცეცხლი მუშებმა, ინტელიგენტებმა და იაპონელთა ჯაშუშებმა წაგიკიდესო. ხალხი მუშებსა და ინტელიგენტებს ეცა. ვისაც-კი მოასწრებდნენ, თოკებით ჰკრავდენ, ქუჩა ქუჩა ათრევდნენ, სცემდნენ და აწამებდნენ. ბრბო მთელი დღე დათარეშობდა და მრავალი მუშა და ინტელიგენტი დაასახიჩრა. ამ სოფელში კაზაკები და პოლიციელები იყვნენ, მაგრამ **ხელიც არავის გაუნძრევია**, პირიქით, გაავთრებულ ბრბოს უფრო ასისიანებდნენ და აბრაზებდნენ (რ ვ.).

✦ 2 მაისს კიშინიოვში ხულიგანებსა და მცხოვრებლებს **დიდი შეტაკება მოსვლიათ.** ჩხუბში რევოლვერები, დანები და კომბლებიც უხმარიათ. ბევრია დაჭრილი. ხულიგანები კი მიიმალნენ, მაგრამ სხვებს პოლიციამ მიუსწრო და მრავალი დააპატიმრა (რ.).

✦ 2 მაისს რიგაში, ვერმანის ბაღში, მუსიკა უკრავდა. ხალხი დასეირნობდა და ჩუმად იყო; არაფერი მოუხდენია, მაგრამ კაზაკებს მათი გაფანტვა მოუნდომებიათ და ცხენდაცხენ ლობეს მიადგნენ. ამ დროს ბაღიდან ვიღამაც **ყუმბარა ისროლა**, რომლითაც ორი ცხენი დასჭრა. ხალხი მაშინვე გაიფანტა. იმავე დროს მეორე ალაგას უცნობმა სამ პოლიციელს ყუმბარა ესროლა; ორი პოლიციელი მოკვდა, მესამე კი სამს გაქცეულ უცნობთ გამოუდგა. უცნობებმა ჯერ ახლო მიუშვეს, მერე მოუბრუნდნენ და რამდენჯერმე ესროლეს.

ქალაქის საბჭო

(10 **მაისის სხდომა**)

კრების გახსნისათანავე ქალაქის მოურავმა საბჭოს წარუდგინა მეეტლეების თხოვნა, რომელშიაც ისინი სთხოვენ ქალაქის გამგეობას, ცხენებზე ბაჟის გადახდის ვადა კიდევ პირველ ივნისისთვის გადასდოს. როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ ვადად მათ პირველი მაისი უთხრა, მაგრამ მეეტლეები თავიანთ თხოვნაში აღნიშნავენ თავის გაჭირვებულ მდგომარეობას და თხოულობენ ამ ვადის გადადებას. ამ თხოვნის შესახებ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაუნიშნონ მეეტლეებს უკანასკნელი ვადა 20 მაისი, განსაკუთრებით იმათ, ვინც მუდამ ქალაქში ცხოვრობენ, ვინც კი სხვადასხვა კუთხეებიდან საზამთროდ არიან ჩამოსულნი, იმათ—15 მაისი, რადგან, შეიძლება, 20 მაისამდე ეს უკანასკნელნი, წავიდ-წამოვიდნენ და ქალაქმა ფული დაჰკარგოს. ცოტაოდენის კამათის შემდეგ, საბჭომ მიიღო გამგეობის ამგვარი დადგენილება.

ხმ. ხუდადოვი შეეკითხა გამგეობას: რა მიზეზია, რომ ამ ბოლოს დროს ქალაქს წყალი აკლდება და ხანდისხან მცხოვრებნი უწყლოდ რჩებიანო?

გამგ. წევრი ენფიაჯიანცი. მაისის დასაწყისში ქალაქის მილებში წყალი ყოველთვის კლებულობს და ჩვენც სწორედ ამ დროს მოგვინდება ხოლმე ბაღებისა და ქუჩების მორწყვა. ქალაქს წყალი არა ჰყოფნის მომეტებულ ნაწილად შაბათობით, რადგან ამ დღეს სახლებს რეცხავენ, სარეცხს და სხვა. ჩვენც ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში და შაბათობით ქუჩები და ბაღები მტკვრის წყალით მოვრწყოთ. ასეა თუ ისე, ჩვენ მივიღეთ ყოველნაირი ზომები, რომ ქალაქს წყალი აღარ დააკლდეს.

ხმ. დოლუხანოვი. ამას წინად ჩვენ გადავწყვიტეთ მტკვარზე საბანაოს გამართვა აგერ მაისი გადის და საბანაოს ხსენებაც არ არის. რა მიზეზია, ჰფიქრობთ თუ არა გამართვას?

ქალაქის მოურავი. ჯერ ერთი, რომ ამჟამად ამ მიზნისათვის ქალაქს ფული არა აქვს; როგორც ქალაქის საქმეების ანგარიშიდანა სჩანს, წელს ქალაქს აკლია შემოსავალი 160,000 მანათი, მაგრამ ესეც რომ არ იყვეს, მოიჯარადრემ განაცხადა, სხვადასხვა მიზეზების გამო საბანაოს აგება მარიამობისთვემდე შეუძლებელიაო. ჩვენც გადავსწყვიტეთ ეს საკითხი მერმისისთვის გადავდოთ.

ამის შემდე საბჭო შეუდგა მორიგ საკითხების განხილვას. პირველად გაარჩიეს ტრამვაის მეთვალყურე კომისიის დადგენილება ტრამვაის მიმოსვლის შეჩერების გამო უსახელო საზოგადოების დაჯარიმების შესახებ. ამ დადგენილებიდანა სჩანს, რომ კომისია ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვას და ამის გამო 20 დღის განმავლობაში ვაგონების მიმოსვლის შეჩერებას ფორს-მაჟორად არა სთვლის, როგორც ტრამვაის კონტრ-აგენტები ამბობენ, და საჭიროდა სცნობს, ტრამვაისთან ხელშეკრულობის ძალით მის დაჯარიმებას. კომისიის აზრით, უსახელო საზოგადოებას უნდა გადახდეს ჯარიმა დღეში თითო ლიანდაგზე 200 მანათი, სულ არის 9 ლიანდაგი, მაშასადამე—1,800 მანათი დღეში, ხოლო ოცი დღის განმავლობაში—36,000 მანათი.

კომისიის ამგვარ დადგენილებას ზოგიერთი ხმოსანი ეთანხმება, ზოგი კი წინააღმდეგია.

ხმ. ხატისოვი. ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ორი საგანი, არის ეს გარემოება ფორს-მაჟორი თუ არა? ჩემის აზრით, აქ არავითარ ფორს-მაჟორს ადგილი არა აქვს. ტრამვაის

პეტრეს ბედი

(მ. კრეტცნერისა)

ქვეყნად რამდენია ისეთი კაცი, რომელსაც ქუდზედად მუდმივი შრომა, ოფლის ღვრა, ტანჯვა-წვალება დაჰყოლია, მაგრამ თავისს დღეში ბედი მაინც არ გაჰღიმებია. რას იზამ: ქვეყანა ასე ყოფილა აგებული!

ასეთი ბედით ჩაგრული იყო ჩემი მეგობარი პეტრეც.

ადვილი საქმეა—ათ-გირვანქიანი ჩაქუჩი გეჭიროს ხელში, დილით საღამომდე თავჩაღუნული გზა-ტკეცილზე იჯდე და ქვას ამტვრევდე?! მკლავები გაწყდება, ძარღვებიც გისუსტდება, ძალა [illegible] და მთელი სხეული ტყვიასავით გიმძიმდება. ეს კიდევ არაფერი!. ქვის მტვერი თვალებსა გთხრის და გაცრემლებს, ნამტვრევები სახეს გკაწრის, მტვერს ჰყლაპავ და ხველა ცალ[illegible] გღრჩობს? რას იზამ? ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო! ზევიდან მზე გაჭერს, ჰაერი ანთებულ თონესავით ვარვარებს, ოფლი წურწურით ჩამოგდის დანაოჭებულს შუბლზე,—აი მაშინ არის ჯოჯოხეთი სამუშაო ჩვენის კაცისათვის. ხან ჩადუნის ფარდულს წამოიკოხებ, მზემ არ დამკრასო, მაგრამ სიცხე-პაპანაქება თავისას არ იშლის, სიცოცხლეს გიმწარებს, თავსა და ბედს გაწყევლინებს.

მაგრამ გამახსენდება ცოლ-შვილი, გამხმარი პური, ჩემი ერთგული მარჯვენა და ისევ ხალისიანად ვურახუნებ ქვას. თუ ჯიბეში ხელებჩაწყობილი მეთვალყურეც თავს წამოგადგა და მეცურად გიბღვერის, მაშინ ხომ ძალა-უნებურად გამხნევდები.. თორემ ძნელი დრო დაგვიდგა, ბევრი ცერემონია აღარ იციან, სულ უბრალო რამეზე პანჩურს გიჭირებენ და ურიგდები შენს ბედს. ან ცოლშვილი გაწუხებს, ან მოხუცი დედა, ან ავადმყოფი საცოლე, აი, ჩვენს პეტრესავით. სიყვარული განა ჩვენ გულს კი არ ათბობს! ხედავთ, აი, ხევ შუა რომ სახლი მოსჩანს, იქა სცხოვრობს კატო თავისი დედით. ყორით ამოყვანილი კედლები აქვს. ზამთარში ძაღლსაც არ ედგომინება იქ, ზაფხულობით ხომ ათასი ჭია-ღუა ფუთფუთობს. პეტრეს გულის ვარდი კი იმ ქოხში ბინადრობს.

მისი ოქროს ფერის თმა, ცისფერი თვალები, გრძელი და ხშირი წამწამი, მტრედივით უმანკო და შემოდგომის დილის ნამივით ანკარა გული გაგიმონებდათ.

ხედავთ იმ თეთრად გადატკეცილს შარა-გზას, ალვის ხეები რომ ჩასდევს ორივე მხარეს,—ეგეც ჩვენი პირმშო შვილია. იმ გზაზე მუშაობის დროს გავიცანი პეტრე. ლამაზი, წარმოსადეგი, ჩასხმული, გულკეთილი და სანდომიანი სახის პატრონი, იგი ყველას შეაყვარებდა თავს. მე უფრო ყველაზე მეტად შემიყვარდა. ისეთი მარჯვე, მუყაითი და მარდი იყო, რომ იმაზე ადრე ვერავინ დაამტვრევდა ქვას, რაც უნდა დიდი ყოფილიყო. ძალიან ოსტატურად იცოდა თავისი საქმე. იმისი ნამტვრევი მუდამ საუკეთესო გამოდიოდა. თავი მოსწონდა პეტრეს ამით, მაგრამ მისი სიამაყე კი უფრო კატო იყო...

ადამიანს ხომ თავისებური რამ უცნაურობა უნდა სჭირდეს! პეტრესაც ჰქონდა თავისი ფანტაზია: საშინლად უნდოდა ახალი ჩოხის ყიდვა.

უბრალო, დღიური მუშა, შვილი ასეთისავე მუშა-კაცისა, რომელსაც თავის დღეში ახალი ჩოხა არა სცმია, სიყრმიდანვე სულ ამ ოცნებით სულდგმულობდა და ამისთვის ფულის დაზოგვას შეუდგა. ნუ გაიოცებთ და ნურც გაჰკიცხავთ: ხან გახურებულ მუშაობის დროს ჩაქუჩს მიწაზე დაანარცხებდა, ამოიღებდა ჯიბიდან ქისას და ფულებს ითვლიდა.

— იასე,—მითხრა ერთხელ,—თუ ძმა ხარ, მითხარი, ძვირია ახალი ჩოხა? სამი თუმანი ღირსო, მითხრეს, მართალია?

თავი გაიქნია, ქისა ჯიბეში ჩაიდო, უფრო მეტის ხალისით უჯახუნებდა ქვას და თან ანგარიშობდა:

— სამი თუმანი... ეჰ!.. რა ფულია! სულითა და გულით მინდოდა დავხმარებოდი, მაგრამ მეც თვითონ არა მებადა-რა!..

ასე გადიოდა დრო, სანამ კატოს გაიცნობდა. ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი. ყველა ეს უეცრად მოხდა!..

— ზამთარში ჯვარს დავიწერთო,—მეტყოდა ხოლმე პეტრე და თან საყვარელ ქისას ჩაჰხედავდა:—ახალი ჩოხა უსათუოდ უნდა შევაკერინო, აბა, უიმისოდ როგორ იქნება ჯვარის წერა!

ქალაქში წასვლა გადასწყვიტა, მაგრამ საქმე როგორღაც ვერ მოხერხდა. დღეს-ხვალიობით იქამდე გადაიდო იმის წასვლა, რომ კატოც ავად გახდა, ყვავილი შეხვდა.

პეტრეს ყველაფერი დაავიწყდა, თავისი საოცნებო ჩოხაც... მხოლოდ კატოს მოუჯდა ლოგინთან, თვალებში ჩასცქეროდა და უალერსებდა:

— ჩემო ძვირფასო, ჩემო სიცოცხლევ, ქვეყანაზე რა გამაჩნია, შენს გარდა... ოღონდ მორჩი და, სულ ხელის გულზე გატარებთ.

გაზაფხულდა. გაცოცხლდა, გახალისდა ბუნება. კატოც მორჩა და ადგა. მაგრამ ველარ იცნობდით. სადღა იყო მისი ლამაზი და ნაზი სახე?.. ყვავილს დაეჩიჩქნა და დაესახიჩრებინა. თვალები, მხოლოდ ცისფერი თვალები-ღა ანათებდა უწინდებურადა, პეტრე კი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ამოუჯდებოდა გვერდით და შეჰხაროდა: კატო, მითხარი, გენაცვალე, გიყვარვარ?

კატო კამკამა თვალებს შეანათებდა და მხიარულის კისკისით უპასუხებდა:

— სანამ ჩოფურა ვარ, შენს მეტი არავინ მინდაო.

ოღონდაც რომ უყვარდათ ერთმანეთი! მოვიდა ზამთარი და პეტრეც საქორწილო სამზადისს შეუდგა. მაშინ მახლობელ ქვის სამტვრევში ვმუშაობდით. პეტრეს თავისი ძველი ოცნება ისევ გაახსენდა და მოსვენებას არ აძლევდა. ერთ მშვენიერს კვირა დღეს გასწია ქალაქისაკენ ჩოხის სასყიდლად.

— იცი—დაბრუნებისას მითხრა პეტრემ—ახალი ჩოხა შევუკვეთე 15 მანათად. თითონ მკერვალი ჩამოიტანს პირდაპირ კატოს სახლში,—და სიამოვნების ღიმილით უბრწყინავდა სახე.

მოვიდა ჯვარისწერის დღეც. კატო მორთულ-მოკაზმული ფანჯარასთან იჯდა და სიხარულის შარავანდედი მოჰფენოდა ამ ჩოფურა გოგოს სახეს. ოთხ საათზე იყო დანიშნული ჯვარისწერა მახლობელს სოფლის ეკლესიაში.

იმ დილას მე და პეტრე ფაციფუცით ვმუშაობდით სამტვრევში, დამტვრეული ქვა ვადაზე უნდა ჩაგვებარებინა.

-— არ კი დამტყუოს მკერვალმა!.. ვერ ისვენებდა პეტრე. ვნახოთ, როგორ დამშვენდება!.. ორი საათიც და—წავალთ!

„ამ დროს, საუბედუროდ კლდე მოზვავდა... პეტრე! პეტრე! მოერიდე! კლდე მოინგრა-მეთქი!..—შევყვირე მე. მაგრამ გვიან-ღა იყო. პეტრე ჩემ ფეხებთან გაიშხლართა. გამოუთქმელ მწუხარებაში ვიყავ, როდესაც კატოს სახლში თავს დასტრიალებდნენ იმ საცოდავს. სოფლის ფერშალმა ვერა გააწყო-რა. საბრალო კატო თავპირს იკაწრავდა, თმებს იგლეჯდა, საცოდავად მოსთქვამდა...

— ჩემო ძვირფასო, ჩემო ყველავ. ჩემო სიცოცხლევ, ნუ დამღუპავ, ნუ დამტოვებ ობლად!

— კატო, ნუ... ნუ, სტირი... ახალი ჩოხა არ.. კატო... წამოიწია პეტრემ, მაგრამ უგონოდ დაეშვა ბალიშზე. კარის კაკუნი მოისმა. მკერვალი იყო. ყველანი გავშრით, ნერწყვი გაგვიშრა პირში, გავშტერდით.

— ეხლა მაინც ჩავაცვათ—ჩაილაპარაკა ბოლოს მოხუცმა იაგორმა.

მხოლოდ კუბოში ეღირსა პეტრეს ახალი ჩოხა...

ისიდორე შიოხძე

მოსამსახურეებმა წარუდგინეს კონტრ-აგენტებს თავიანთი მოთხოვნილებანი და განუცხადეს, თუ დაგვთანხმდებით, ხომ კარგი, არა და—ანგარიში გაგვისწორეთ და სამსახურიდან დაგვითხოვეთო. ეს სტიქიური მოვლენა არ არის. ამგვარი მოთხოვნილებანი უსახელო საზოგადოებას არ დაღუპავდა, რაც უკვე დამტკიცდა იმითი, რომ ზოგიერთი მოთხოვნილება უსახელო საზოგადოებამ დააკმაყოფილა, ზოგიც განსახილველად სამედიატორო სასამართლოს გადასცა და პირობა დასდო, მის გარდაწყვეტილებას დაემორჩილება. ხომ შეიძლება სასამართლომ მოსამსახურეთა ყველა მოთხოვნილება სამართლიანად სცნოს და ამით აიძულოს უსახელო საზოგადოება მოსამსახურენი სავსებით დააკმაყოფილოს? მაშ აქ შეუძლებელი არა ყოფილი-რა! მაგრამ უსახელო საზოგადოებამ საქმე გააჭიანურა, რასაც ელოდა, ეგონა, მოსამსახურეთ მოშივდებათ, საქმე გაუჭირდებათ და იძულებულნი იქნებიან, სამსახურს დაუბრუნდნენო. მაშ რით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ საზოგადოების რწმუნებული ბ-ნი მუტრიე ჩამოვიდა და რამდენისამე დღის განმავლობაში ხელიც არ გაუნძრევია, იჯდა და კიდევ რაღასაც უცდიდა. ჩვენს საზოგადოებაში აქა-იქ ლაპარაკობდნენ: რას ბრძანებთ, ალბად არ შეუძლიანთ დააკმაყოფილონ მოსამსახურენი, თორემ გიჟები ხომ არ არიან, დღეში ორას-სამასი თუმანი ზარალი აქვთო. ის კი ავიწყდებათ, რომ საზოგადოება მზად არის რამდენისამე დღის განმომავლობაში ხუთას-ექვსასი თუმანი იზარალოს, ვიდრე სამუდამოდ მოსამსახურებს ჯამაგირი მოუმატოს. ეს კარგად იცოდნენ და ამიტომაც ელოდნენ გამარჯვებას. მე ვამტკიცებ, რომ ეს გარემოება ფორს-მაჟორი არ არის, ეს არის შეჯახება ეკონომიურ ნიადაგზე. ეს არის უკიდურესი მომენტი ეკონომიურ ცხოვრებაში და სხვა არაფერი. ჩემის აზრით, ჩვენ უნდა დავაჯარიმოთ უსახელო საზოგადოება და, თუ ჯარიმას ნებაყოფლობით არ გადაიხდის, რაშიაც მე დარწმუნებული ვარ, უნდა ვუჩივლოთ სასამართლოში და დეე, მცოდნე პირებმა გადასწყვიტონ, ფორს-მაჟორია ეს, თუ არა?

ხმ. დოლუხანოვი იმ აზრისაა, რომ თუმცა ეს გარემოება ფორს მაჟორად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ იმდენად საპატიო მიზეზია, რომ შეიძლება უსახელო საზოგადოება გავამართლოთ. ის წინააღმდეგია დაჯარიმებისა და ამბობს, ჩვენ ხშირად ვღიარეთ აქ გაფიცვის თავისუფლება და, თუ ამ შემთხვევაში ერთს მხარეს გავამართლებთ, მეორეც უნდა გავამართლოთო.

ხმ. ბაზოვი ურჩევს საბჭოს, შესდგეს კომისია ხმოსან-იურისტებისგან, რომელთაც თავის მხრივ უნდა მოიწვიონ სხვა გამოცდილი იურისტებიც, და ეს საკითხი პრინციპიალურად გადასწყვიტონო.

ბევრი კამათის შემდეგ, საბჭომ გადასწყვიტა, ეს საკითხი გადასცეს ხმოსან-იურისტთა კომისიას, რომელმაც თავისი მოსაზრებანი ამ ცოტა ხანში უნდა წარმოუდგინოს საბჭოს.

ამის შემდეგ საბჭოს უნდა აერჩია ორი წარმომადგენელი ჭლექთან საბრძოლველად კავკასიის საზოგადოების გამგეობაში. ბარათებით დასახელებულ იქმნენ ბ-ნი ვაწაძე, სტეფანოვი და დოლუხანოვი. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ ვაწაძე და დოლუხანოვი.

დასასრულ **ხმ. გეინმა** (აფთიაქის პატრონია) განაცხადა, გუშინ ფარმაცევტები გაიფიცნენ, ქალაქი, შეიძლება, უწამლოდ დარჩეს; ვსთხოვ ქალაქის გამგეობას, იშუამდგომლოს გუბერნატორთან, რომ მოგვცენ სამხედრო უწყებიდან აფთიაქის შეგირდები. ამით ჩვენ შეძლება მოგვეცემა, აფთიაქებში მუშაობის შეუწყვეტლად, მოსამსახურეთა ახალი შტატი შევადგინოთ, რადგან მოსამსახურეთ ისეთი მოთხოვნილებანი წარმოადგინეს, რომ მათი დაკმაყოფილება შეუძლებელია და იძულებულნი ვართ ადგილებიდან დავითხოვოთო. ქალაქის მოურავი და ხმოსნები ამგვარ განცხადებას წინააღუდგნენ და ურჩიეს როგორც ბ-ნ გეინს, ისე ფარმაცევტებს, რომლებიც ქანდარიდან ყურს უგდებდნენ გეინის ლაპარაკს, მიჰმართონ სამედიატორო სასამართლოს და მის გარდაწყვეტილებას დაემორჩილონ, რადგან ჯარებიდან აფთიაქების შეგირდების მოწვევა, მოსამსახურეთა დათხოვნა და სხვა ამგვარი ზომები საქმეს უფრო გაამწვავებს და სასურველ შედეგს ვერ მოიტანსო.

კორესპონდენცია

ქ. ოზურგეთი. ცხადია, რომ დიდ ქალაქებთან შედარებით პატარა დაბა-ქალაქებში უფრო აუტანელია ნოქარ-შეგირდთა ცხოვრების მდგომარეობა, ხოლო ეს აუტანლობა და გაჭირვება ხსენებულთათვის ოზურგეთში რომ მეტია, ამას დიდი მტკიცება აღარ სჭირია და თვალ-დანახული ფაქტია. ავიღოთ სხვადასხვა ხელოსანთა შეგირდები: არავითარი წესრიგი შრომის დროს, არავითარი დასვენება შრომის შემდეგ, არავითარი ადამიანური მოპყრობა მათთვის არ არსებობს; მხოლოდ განუწყვეტელი მუშაობა და მუშაობა! დღესა და ღამეს გარჩევა არა აქვს და, როცა ყველა ადამიანს და ცხოველსაც კი დასვენება ეჭირვება, შეგირდები იძულებულნი არიან ღამის 1—2 საათამდის სანთელთან იმუშაონ და როდესაც მისცემს თავისი „ადა“ ნებას დასაძინებლად წასვლისას, ისიც დაღლილ-დაქანცული მიეგდება რაღაც ქვეშაგების მსგავს ჩვრებზე, რომელიც ნესტიან იატაკზეა მიყრილი! ჯერ კიდევ 2—3 საათი იქნება გათენებამდის, რომ „ხაზეინი“ ფიცხლავ წამოასხტუნებს შეგირდს და მუშაობას შეუყენებს და ასე ყოველთვის!.. საჭმელ-სასმელი—ტარანის თევზის კუდი და აყროლებული, აჭრილი ყველი! არ ვარგა თუ? მაშ დააკვირდით შეგირდთა სახეს, რათ არიან ყველანი ფერმკრთალნი თუ არ „კარგი საჭმელით“ და დღიან-ღამიანა შრომით? რასაკვირველია, სხვა „სიკეთესთან“ ტანსაცმელიც შესაფერი აცვიათ: დაგლეჯილ-დაფლეთილი და უსუფთაო!.. და ასეთ გაჭირვებასა და ტანჯვაში იტანენ შეგირდნი 8—10 წლის განმავლობაში მცირე წლოვანობიდან [1] და მხოლოდ მერე ეღირსებათ შრომის ფასად ორიოდ გროშის აღება... არც ვაჭართა ნოქრების მდგომარეობა განირჩევა დიდად ხელოსანთა შეგირდების მდგომარეობისაგან. დაიყენებს ვაჭარი პატარა ბავშვს ვითომ ნოქრად, 4—5 წლიწადს დახლს გარედ იმსახურებს, აზიდვინებს წყალს, აკეთებინებს სხვადასხვა საქმეს სახლში და მერე მიიყვანს დახლზე. გავა კიდევ რამდენიმე ხანი და გამიმეტებს რამდენიმე გროშს ჯამაგირად. ნოქართა დასვენება ის არის, რომ დილის 5—6 საათიდან საღამოს 10—11 საათამდის მაღაზიაში უნდა იდგეს!..

დღეს, როცა მზემ ყველა ჯურღმულებში შეანათა, გაჭირვებულთა და მშრომელთა თავიანთი უმწეო ცხოვრება ნათლად დაანახვა და ყველანი საბრძოლველად გამორეკა, ოზურგეთის ნოქარ-შეგირდთაც აეხილათ თვალები და თავიანთი დაბეჩავებული ცხოვრების ცოტათი მაინც გასაუმჯობესებლად აალაპარაკა და აამოქმედა. ამ დღეებში მოილაპარაკეს თავიანთ საჭიროებებზე ყველა ნოქარ-შეგირდებმა და ამა მაისის ექვსს (6) თავიანთ ხაზეინებს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს:

1) სამუშაო დრო უნდა განისაზღვრებოდეს თორმეტი საათით.

2) ხელობის შესასწავლად დრო უნდა განისაზღვრებოდეს ორ ნახევარი წლით; შემდეგი ხელობები: ხარაზობა, დურგლობა, მჭედლობა, თერძობა და დალაქობა მეჩექმობა და მეუნაგირობათ სამა წლით. მეფურნეობა ერთი წლით. სავაჭრო ნაწილებში: სავართლოში და სხვა—ორი წლით. ამ ვადაში „ხაზეინები“ ვალდებულნი არიან შეასწავლონ თავის მოწაფეებს ხელობა სრულად.

3) შეგირდები, რომლებიც დაჭერილნი არიან პირობებით, სიტყვიერად ანუ წერილობით, განთავისუფლებულ იქმნან წინანდელი პირობებისაგან ის ვადა, რომელიც უკლია შეგირდებს, შეგირდობის შესასრულებლად, განახევრდეს და ამ ნახევარი ვადის განმავლობაში ხაზეინებმა დაასრულებინონ ხელობის შესწავლა.

4) აგრეთვე უნდა გაუმჯობესდეს საჭმელ-სასმელი. ა) გაუმჯობესდეს საცხოვრებელი ბინა. ბ) ტანისამოსი სუფთა, საზამთრო, საზაფხულო და სამუშაო ცალკე. გ) აბანო თვეში ერთხელ.

5) ავადმყოფ შეგირდს ხაზეინმა შემწეობა აღმოუჩინოს, როგორც საკუთარ ოჯახის წევრს, ერთი თვის განმავლობაში. ამავე ვადაში შეგირდს ადგილი არ უნდა ეკარგებოდეს.

6) შეგირდის დასჯა და დათხოვა მიზეზის გამოურკვევლად არ მოხდეს.

7) ადამიანური, ზრდილობიანი მოპყრობა, დამამცირებელი სიტყვით ხაზეინმა შეგირდს არ მიმართოს, დამამცირებელი საქმე არ დაავალოს.

8) რადგან დღევანდელმა სოციალურმა პირობებმა აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა საზოგადოების მშრომელი ნაწილი ნივთიერად, ამისათვის იძულებულნი ხდებიან გაუშვონ თავიანთი მცირე-წლოვანი შვილები, რაიც იწვევს ბავშვის სრულ დაბეჩავებას, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივადაც. ამისათვის აკრძალული უნდა იყოს ბავშვების მიღება ცამეტ წლამდე. ის ბავშვები კი, რომლებიც თავისი წლოვანობით ამ პირობებს არ შეესაბამებიან, დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქმნან შემდეგი პირობებით: ა) განთავისუფლებულ იქმნან ის შეგირდები, რომლებიც არიან არა უმეტეს ათის წლისა, ბ) განთავისუფლებულ შეგირდებს მიეცეთ ხუთი მანათი წინანდელ სამსახურისთვის.

9) მაღაზიები, სახელოსნოები და სხვა სავაჭროები კვირაობით დაიკეტოს მთელი დღით (აქ არ შედის სავაჭრო სახლები, სადაც იყიდება ხორცი და პური). სხვა უქმე დღეებში მაღაზიები უნდა გაიღოს 12 საათზე და დაიკეტოს 4 საათზე.

10) საქმის დღეებში, როგორც სახელოსნო, ისე სავაჭრო ნაწილებში, მუშაობა იწყებოდეს დილის 7 საათზე და თავდებოდეს საღამოს 8 საათზე.

11) დაწესდეს საუზმისთვის ნახევარი საათი, ერთი საათი სადილისთვის.

12) კვირა-უქმე დღეებს გარდა თავისუფლება (ოტპუსკი) არა ნაკლებ 15 დღისა წლის განმავლობაში.

13) იმ ნოქრებს, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს, მოემატოს ჯამაგირი, მანათზე ხუთი შაური.

ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ უნდა იქმნეს ამა წლის ათ მაისამდე.

ყველაზე ვერ ვიტყვით და ვაჭართა და ხელოსანთა ერთი ნაწილი ძალიან შეაფუცხუნა და გააჯავრა ამ მოთხოვნილებებმა. 7 მაისს მეწუღლეებმა (ხარაზებმა) კრება მოახდინეს და, გარდა ორი მუხლისა, თანხმობა განუცხადეს, მაგრამ მეორე დღეს, უსათუოდ ზოგიერთ ვაჟბატონის ჩაგონებით, უარყვეს მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და რაღაც ისეთი «ეპისტოლე» შეადგინეს, რომ შეგირდებს წინანდელზე უარეს მდგომარეობაში ჩააყენებს. გავიდა 10 მაისი, მაგრამ ჯერჯერობით ვაჭართა და ხელოსანთაგან ნოქარ-შეგირდებს არავითარი პასუხი არ მიუღიათ.

დღეს ისეთი დროა, რომ გაჯიუტებას გასავალი აღარ აქვს და ვაჭარ-ხელოსნებისთვის უმჯობესი იქნება, შეგირდ-ნოქრების სამართლიანი მოთხოვნანი დააკმაყოფილონ.

ჭინკაი.

სოფ. ბაჯი (პატარა ონის მაზრა). რაჭა ამოძრავდა. ყველგან უკმაყოფილების ხმა გაისმა და ამ საერთო მოძრაობას ბანი ბაჯის მცხოვრებლებმაც მისცეს. სოფელმა ყრილობა ყრილობაზე მოახდინა და მკაფიოდ და გარკვეულად აღნიშნა ყველა ის უსამართლობანი, რაიც საზოგადოდ ძირს უთხრის სოფლის კეთილ-დღეობას. სოფლის ადმინისტრაციამ, რომელსაც დღემდე ყველა ძალაუნებურად ქედ-მოდრეკით ემორჩილებოდა, ხალხის თვალში დღეს სულ დაჰკარგა მნიშვნელობა. ხალხმა გადაჭრით განაცხადა: ბოქაული, მამასახლისი, მწერალი და სხვა მოხელენი, რომელნიც ნებსით თუ უნებლიედ დღემდე ათას-გვარ უსამართლობას სთესავდნენ და სთესავენ გლეხთა შორის, აღარ გვინდა, მოთმინების ფიალა აივსოო. სამაგიეროდ, გლეხებმა აირჩიეს ათისთავები, ასისთავები და ყოველ-გვარ საქმის გადაწყვეტა მათ დაევალათ. ახალი მოსამართლენი მართლაც რომ იშვიათის სიადვილით არჩევენ დავა-საჩივრებს და არიგებენ ისეთ მოწინააღმდეგეებს, რომელთაც ხუთსა და ექვსს წელიწადს ვერას გაუკეთებდნენ ძველი მოსამართლენი. გლეხები კარგად გრძნობენ ასეთ მოსამართლეების მოქმედების კანონიერებას და ყველანი ნდობით ეკიდებიან. გლეხებმა ამის გამო დაადგინეს: სასტიკად დაისაჯოს ყველა ის კაცი, რომელიც რამე შუამდგომლობით უწინდელს ადმინისტრაციას მიჰმართავსო... სოფელმა, მართალია, დაითხოვა სოფლის მოხელენი, მაგრამ ისინი კარგა ხანს სოფელს მაინც არ შორდებოდნენ. ამას წინად ამის გამო ვიღაც უცნობმა მოჰკლა ამ რაიონის მამასახლისი რომლის ნაცვლადაც მთავრობამ სხვა მამასახლისი დანიშნა. ახალ მამასახლისს საქმეები სრულიად არა აქვს, რადგან არავინ ეკარება.

გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის ერთობა და თანხმობა დღემდე ვერ დამყარებულა, მაგრამ თავად-აზნაურთა გადაწვისა და აკლების მაგალითები სრულიად არ ყოფილა. გლეხები თავად-აზნაურებზე უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ, როცა გლეხებმა პირველად თავი მოიყარეს და ერთმანეთს ძმობა და ხელის მომართვა შეჰფიცეს, თავად-აზნაურნი არ მივიდნენ. უკმაყოფილების მიზეზი რაოდენადმე ის გარემოებაც არის, რომ გლეხებს შეღავათიანის პირობებით უნდათ თავად-აზნაურთა მიწების აღება, ხოლო უკანასკნელნი განზე დგანან. გლეხებმა ამის გამო თავად-აზნაურებს ბოიკოტი გამოუცხადეს, ბიჭები ჩამოაცალეს, პურის მცხობელი არ მიაკარეს. ერთს თავადს ჩამოაშორეს მოსამსახურე დედაკაცი, რომელიც ამ თავადს 30 წელს ემსახურებოდა. გლეხობა ამ დედაკაცს თავის ხარჯით აცხოვრებს. ბოლოს დროს—სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ—თავად-აზნაურნი სურვილს აცხადებენ გლეხებთან შეთანხმებისას. თავად-აზნაურთა და გლეხთა საერთო მოსალაპარაკებლად მოკლე ხანში კრება მოხდება.

მოძრაობა მახლობელ სოფლებშიაც ძლიერად დაიწყო. ერთი საზოგადო დამახასიათებელი თვისება სოფლელებისა არის ის, რომ ერთობ კარგად ესმით, თუ რას ნიშნავს ერთობა, და გაჭირვებულ-გასაწყლებულ მოძმეს ნივთიერ დახმარებას უწევენ.

ჩ ბ—ძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

11 მაისი.

კრონშტადტი. ვიცე-ადმირალი ბირილიევი ვლადივოსტოკისკენ გაემგზავრა და თავის თანამდებობის ასრულება ბალტიის ფლოტის მთავარ-კომანდერს ვიცე-ადმირალ ნიკონოვს ჩააბარა.

ტოკიო. იუწყებიან, რუსებმა მსუბუქი რკინის გზა გაიყვანეს გირინიდან კანტუტუმდე და განიერ-ლიანდაგიანი გზა გაჰყავთ სამხრეთისაკენ ჯარის საჭიროებისათვის.

გუშინ ტოკიოს ბირჟაზე ფასიან ფურცლებმა ძალიან აიწია; ზოგს ფურცელს ომის დაწყებამდისაც ესეთი დიდი ფასი არ ედო. დალნიდან მუკდენამდე რკინის გზა აღადგინეს და მატარებლები დადიან. იაპონიის ლაშქარს ახალი ჯარი მიუმატეს და ახლა იმოდენავეა, რავდენიც მუკდენის ბრძოლამდე იყო. რუსებმა მოძრაობა დაიწყეს მონგოლიის საზღვარსა და სინმინტინისკენ.—ირწმუნებიან, რუსეთის ესკადრა წყნარ ოკეანეზე გასულაო.—მთელ დღეს ბჭობა ჰქონდათ მთავარ მინისტრთან, სადაც იყვნენ იტო, იამაგატა, ტერაუჩი და კამურა.

ჩიფუ. მოიყვანეს პორტ-არტურიდან 44 შეშლილი რუსი ჯარის-კაცი და ჯავშნოსან „სევასტოპოლის“ გაგიჟებული ლეიტენანტი და საავადმყოფო გემით ოდესას გაგზავნეს.

შანხაი. „მორნინგ პოსტი“ იუწყება, ტოგოს ესკადრა მოზამპოს ახლო არისო.

ჩანჩავაძი. იაპონელებს ჯერ წინ წასვლის განზრახვა არ ეტყობათ. უკან დაწეულ ჯარებს აძლიერებენ. ბალოხეს მარჯვენა ნაპირას ხუნხუზები გამოჩნდნენ. ტარუნცუიას მიდამოებში რავდენჯერმე დაეცნენ ჩვენს ფოსტასა და ტრანსპორტებს. მონგოლიის მთავარმა ჩირინ-გირინმა ხუნხუზების ბრბო გაფანტა და თავის სამფლობელოს მედგრად იცავს.

ტოკიო. ანგარიშობენ, რომ ლინევიჩის ლაშქარში 300,000 მეომარია. რუსის ოთხი ტრანსპორტი, რომლებზედაც უმავთულო ტელეგრაფია, ბაშის სრუტეში უნახავთ.—ჩინეთის ესკადრის ადმირალს ვუსუნში ბრძანება მიუღია, რუსების იარაღ-აყრილ გემებს უდარაჯოს შანხაიში.—ამერიკის ესკადრას მანილაში ორი ჯავშნოსანი და ორი საკანონერო გემი მიემატა.—საფრანგეთის ესკადრა ორად გაიყო; ერთი რაზმი ალონში იქნება, მეორე საიგონში.—გერმანიის ესკადრა ძინდაოშია.

ლონდონი. რუსეთმა 100,000 ტონნა ნახშირი შეუკვეთა სამხრეთ ავალისში, რომელიც საჩქაროდ ვლადივოსტოკს უნდა გაიგზავნოს. დღეს ლონდონში გემებს ბევრი დამქირავებელი ჰყავს. რუსეთის მთავრობის ხარჯით ნახშირი გაიგზავნა ვლადივოსტოკს, ტონი 8 გირვანქა სტერლინგად.

გუნჯულინი. იაპონელების მოქმედების გეგმა ჯერ გამოურკვეველია: ზოგი ფიქრობს, ისინი მონგოლიაზე წავლენ და რუსეთის ლაშქარს ზურგს უკან მოექცევიანო; სხვები ამბობენ, იაპონელები იმისთვის აძლიერებენ ჯარს განაპირა ფრთებზე, რომ რუსის ლაშქრის შუაგულს ჯარი ჩამოაცალონ და მერე შესუსტებულ ადგილს დაეცნენო. თუ რომ მართალია ის ამბავი, რომ იაპონელების მოწინავე ჯარი უკან იწევს, მაშინ ეს უკან დაწევა საეჭვო უნდა იყოს, რადგან ლაშქარი საერთოდ წინ წასასვლელად ემზადება.

პეტერბურგი, 10 მაისი. ოფიციალური. შინაგან საქმეთა მინისტრმა 26 აპრილის თარიღით ცირკულიარული განკარგულებანი გაუგზავნა გენერალ-გუბერნატორებს, ქალაქის უფროსებს და გუბერნატორებს. ამ ცირკულიარის ძალით, ადგილობრივ საგუბერნიო მთავრობას, გარდა პრივისლიანის საგენერალ-გუბერნატოროსი, უფლება ეძლევა დაამტკიცოს წესდებანი სამუსიკო და დრამატიულ სკოლებისა, საზოგადოებრივ საკრებულოსი, კლუბებისა, საჭადრაკო საზოგადოებათა, ხელოვნებისა, სიმღერა-გალობისა და მუსიკალურ-დრამატიულ საზოგადოებათა „კრუჟოკებისა“, სიფხიზლის საზოგადოებისა, სავარჯიშო, ავტომობილების, პირუტყვთა მფარველ და კაცთ-მოყვარე საზოგადოებათა და მისცეს ნება-რთვა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებისა. საგუბერნიო მთავრობას მინისტრის დაუკითხავად შეუძლიან გადასწყვიტოს ყველა ეს საგნები, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ დამაარსებელნი ყველანი ან მომეტებული მათგანი ებრაელები არ არიან და თუ იმ საზოგადოებას მოგება არა აქვს საგნად დასახული. ყველა დანარჩენს შემთხვევაში რთულ საქმეთა გადაწყვეტის უფლება მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრსა აქვს. ეს განკარგულება დროებითია.

პეტერბურგი. კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორი გენერალი ტროფიმოვი ჩერნომორის გუბერნატორად დაინიშნა.

სიდლეცი, 11 მაისი. შუაღამისას საკრებულოს ბაქანზე ვიღამაც პოლიცმეისტერს ყუმბარა ესროლა და 24 ადგილს დასჭრა. დაჭრილია მსუბუქად მზარეული, ლაქია და სხვებიც. ბაქანი ანგრეულია, მეზობლად სახლების შუშები ჩაიმტვრა.

მოსკოვი. შუაღამისას წყლის არხში რაღამაც საშინლად იფეთქა. გრიალი შორს გაისმა.

კიევი. „იუჟნი კურიერის“ რედაქციაში შევიდა მღვდელი კუდინსკი მოსალაპარაკებლად ერთის წერილის გამო და რედაქტორს კრისტის რევოლვერი ესროლა, მაგრამ ვერ მოჰკლა. მიზეზი გამამტყუნებელი წერილია.

პეტერბურგი. ბეჭდვითი საქმის განსაკუთრებულმა საბჭომ 10 მაისს ერთხმად დაადგინა დრამატიულ თხზულებათა ცენზურა ბეჭდვითი საქმის კანონ-პროექტიდან გამოტოვებულ იქმნას, რადგან ბეჭდვით სიტყვასთან არის პირდაპირ დაკავშირებული, და ყოველი აზრი, საბჭოში გამოთქმული, ეცნობოს სათეატრო კანონების გადამსინჯველ კომისიას, რომლის თავმჯდომარედ დიდი მთავარი სერგეი მიხაილოვიჩია.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მესამე მოგებიან სესხის ბილეთებში 1 მაისს გაბათილდა (გამოვიდა ტირაჟში) შემდეგი სერიების №№ 14222, 3220, 10255, 1314, 9067, 5715, 14890, 14434, 7564, 9054, 5409, 9783, 8225, 15620, 8491, 11843, 1528, 4297, 2226, 1074, 2862, 3909, 1102, 5253, 15744, 11480, 9909, 15355, 9082, 9001, 5754, 10232, 9662, 15283, 8734, 11910, 15659, 9427, 1062, 1500, 4546, 12417, 10301, 10172, 241, 6755, 14412, 1127, 5926, 14899, 13903, 13500, 5963, 8630, 13410, 1968, 1202, 6343, 2025, 4710, 7483, 8528, 11529, 9476, 8522, 7635, 5691, 13002, 2569, 787, 5561, 13606, 12494, 14587, 15491, 1196, 8922, 11692, 3471, 5597, 2880, 1282, 7873, 5221, 11727, 4798, 71, 8872, 12871, 2976, 15877, 10293, 3753, 12735, 9589, 6607, 8075, 8863, 12036, 15461, 6542, 9417, 10214, 10752, 1634, 1895, 8328, 5199, 6668, 12983, 3978, 4333, 8369, 2214, 13817, 9673, 6365, 1503, 4007, 4903, 1177, 1789, 10169, 5344, 10033, 2416, 7468, 13746, 5275, 296, 10202, 6381, 15123, 5153, 6944, 3112, 13153, 10691, 7475, 10016, 6322, 6184, 3942, 10145, 14919, 7691, 11693, 4983, 2182, 4220, 11855, 10546, 915, 15322, 12967, 13922, 14505, 705, 8712, 14087, 6167, 13269, 4155, 4270, 9081, 2357, 11788, 12488.

პეტერბურგის ბირჟა, 3 მაისი 1905 წ.

სამ-თვიან ვექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	—
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	379
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	290¼
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	256
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	85½
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	195
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	9950

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის [illegible] და 3) ნაშუადღევის 1 ს. [illegible]

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 2[illegible] წ. (8 ს. 20 წ.).

ზორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშ

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვი. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენჰაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელ მიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 118. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ВЪ ЦЕНТРАЛЬНОЙ КНИЖНОЙ ТОРГОВЛѢ, въ Тифлисѣ, поступили въ продажу:

Вандервельдъ. Промышленное развитіе и общественный строй. О. ц. 50 к. перес. 25 к.
Батуринскій. А. И. Герценъ, его друзья и знакомы. Матеріалы для исторіи общественнаго движенія въ Россіи, т. I. С. П. ц. 2 р. 50 к. перес. 30 к.
Еллинекъ. Декларація правъ человѣка и гражданина. М. ц. 40 к. перес. 15 к.
Зутнеръ. Долой оружіе! Анти-милитарный рома С. П. ц. 80 к. перес. 25 к.
Карно. Исторія французской революціи. С. П. ц. 1 р. перес. 25 к.
Лозинскій. Исторія второй французской республики. К. ц. 2 р. 50 к. перес. 40 к.
Риккертъ. Границы естественно-научнаго образованія понятій. Логическое введеніе въ историческія науки. С. П. ц. 3 р. пер. 40 к.
Мазуренко. Всероссійскіе земскіе соборы. Историческій очеркъ. С. П. ц. 25 к. пер. 15 к.
Энгельсъ. Къ критикѣ политической экономіи. О. ц. 25 к. перес, 15 к.

Заказы иногородныхъ исполняются по полученіи денегъ и [illegible]

(2—1)

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგების ენითა და მაგალითებით,—რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი **იოსებ იმედაშვილის** მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. **„უცხო ანდაზები** და **წინადადებანი“** რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთა კარგ ქაღალდზე და ღირს მხოლოდ **1 მან.**, საუცხოო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით—მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი [illegible] დებითაც შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქვაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრ. Тифлисъ, книжная торг. І. З. Имедашвили.

(10—6.—2).

ახლად გახსნილი

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა

„შრომა“

(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)

იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

---

[1] ხელოსნები სარგებლობენ ხალხის ნივთიერ გაჭირვებით და შეგირდებადაც 7—8 წლის ბავშვებს იყვანენ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 11 мая 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.